საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ხალხი თავისი შვილების დაღვრილ სისხლზე

ხელს არავის მოათბობინებს, საქართველო უნდა გამთლიანდეს!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 171 (717) პარასკევი, 6 აგვისტო, 1993 წელი. ფასი 36 კუპონი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

სოხუმი, 4 აგვისტოს ღამემ სოხუმში შედარებით მშვიდად ჩაიარა. თუმცა, აფხაზთა მხარემ საპასუხო ცეცხლის გამოწვევის მიზნით რამდენჯერმე მიმართა ავტომატისა და ტყვიამფრქვევის პროვოკაციულ სროლას სოფლების შრომა-ახალშენის მიმართულებით, აგრეთვე ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახლობლად. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ყველა ეს დარღვევა დააფიქსირეს საომარი მოქმედების ზონაში მყოფი სამმხრივი კომისიის წევრებმა.

მათი უშუალო მონაწილეობით უარყვეს მოწინააღმდეგის მტკიცება იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს განეხორციელებინათ შეტევები აფხაზების მიერ დაკავებულ 920 სტრატეგიულ მაღლობზე. სინამდვილეში, როგორც სამმხრივი კომისიის წარმომადგენლებმა დაადგინეს, ამ სიმაღლეს აკონტროლებენ ქართველთა ჯარები, მის მახლობლად კი მოქმედებს მოწინააღმდეგის სადივერსიო ჯგუფი, რომლის არსებობა, სხვათა შორის, უარყო აფხაზთა სარდლობამ.

●

შემთხვევა

საზამთრო — სიცოცხლის ფასად

5 აგვისტოს კრწანისის ბაზრის წინ, დაახლოებით 13 საათსა და 30 წუთზე, საზამთროს გამყიდველს ექვსი სამხედროფორმიანი ბიჭი მიადგა და ძალით ართმევდა საზამთროს. პოლიციის კაპიტანი, ორი შვილის მამა გელა ჯაშიაშვილი გამყიდველს გამოექომაგა. გვარდიელებმა, შენ ვინ ხარო, შეუძახეს და ხელი გაარტყეს. ამ გაწევ-გამოწევის შემდეგ ორი მათგანი გაიქცა და საიდანღაც მოიტანა ორი ავტომატი... პოლიციელი მოკლეს.

სროლის ხმაზე იქვე მდებარე საპოლიციო შენობიდან პოლიციელები გამოცვივდნენ და ატყდა გამაყრუებელი სროლა. როგორც პოლიციის უფროსმა ალეკო ცხვარაძემ გვითხრა, თავდამსხმელთაგან ორი მძიმედ დაიჭრა, ერთი საავადმყოფოში მიყვანამდე და მეორე მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ოთხი სამხედროფორმიანი, რომლებმაც განაცხადეს მხედრიონელები ვართო, დაკავებულია.

პოლიციის მუშაკი გელა ჯაშიაშვილი იბრძოდა სამაჩაბლოშიც, აფხაზეთშიც. ახლახან მიუღიათ კრწანისის რაიონის პოლიციაში სამუშაოდ. მტრის ცეცხლს გადარჩენილი, თანამოძმის ტყვიამ განგმირა.

ხელჩართულ ბრძოლას ორი ათასამდე მოქალაქე უყურებდა და საკვირველია, რომ მსხვერპლმა არ იმატა. ეს მერამდენე „ქუჩის ბრძოლაა"?

იზა ჯაჭვაძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

გრიგოლ აბაშიძე

სურვილი და რეალობა

უკვე რამდენიმე დღეა, რაც აფხაზეთში ცეცხლი შეწყდა. ცეცხლის შეწყვეტის წინასწარმა პირობებმა აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია: ერთნი ხელაღებით უარყოფენ ამ პირობებს და კაპიტულაციად ნათლავენ, მეორენი იწონებენ და ერთადერთ გამოსავლად აღიარებენ შექმნილი მდგომარეობიდან.

ჩვენ არ ვიცით, გაღებული დიდი მსხვერპლის შემდეგ, კიდევ რამდენ ხანს შეეძლოთ ჩვენს გმირ ვაჟკაცებს მოძალებული მტრის პირისპირ დგომა, რამდენ ხანს ეყოფოდათ ტყვია-წამალი და რა რეზერვები იყო ჩვენი სარდლობის განკარგულებაში.

უდავოა, რომ რუსეთთან ომის გაგრძელება ჩვენს ძალებს აღემატებოდა.

დიდი ჩრდილოელი მეზობლის ომში პირდაპირი მონაწილეობა ყოველდღიურად მატულობდა, ხოლო პერსპექტივაში კავკასიის მთის ხალხების შემოსევა კარგს არაფერს გვიქადდა.

ამჟამინდელი შეთანხმებიდან პლუსთაგან უმთავრესია სისხლის ღვრის შეწყვეტა (რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს დემოგრაფიული კრიზისის პირობებში), გაეროს ძალების შემოყვანა და საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ნაბიჯისადმი საერთაშორისო აზრის მხარდაჭერა.

ანგარიშებითა და პირადი მოსაზრებებით მოქმედ ადამიანებთან კამათი არა მსურს, მაგრამ მათი აზრი, რომლებიც გულწრფელი პატრიოტიზმის პოზიციებიდან გამოთქვამენ ეჭვებს, დიახაც ანგარიშგასაწევია.

რუსეთმა არაერთხელ დაარღვია თავისი მონაწილეობით მიღწეული შეთანხმება და ჩვენ არ ვიცით, რამდენად გარანტირებულია მისგან უკანასკნელი ხელშეკრულების დაცვა. არც ის ვიცით, რა მოელის სამკვიდროდან გამოდევნილ ქართველ მოსახლეობას, ხოლო თუ ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა არ გადაწყდა, მაშინ ჩვენი მეომრების სისხლი ამაოდ დაღვრილი აღმოჩნდება.

მაგრამ მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და იმედი ვიქონიოთ, ქართული მხარე ბოლომდე იბრძოლებს ჩვენი ხალხის კანონიერი მოთხოვნების ხორცშესასხმელად.

კომპრომისულ შეთანხმებაზე ხელის მოწერას არსად და არასოდეს, არცერთი მთავრობისათვის არ მოუტანია პოპულარობა.

ჩვენს მთავრობასაც, რა თქმა უნდა, ერჩია ისეთ ხელშეკრულებაზე მოეწერა ხელი, რომლითაც თვითონ უკარნახებდა სამშვიდობო პირობებს.

მაგრამ ერთია სურვილი და მეორე — რეალობა.

რეალობა მკაცრია და მას პირდაპირ უნდა შევხედოთ, დაოკებული ემოციებითა და აუცილებლობიდან გამომდინარე ცივი ანგარიშით.

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

დიდად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

მადლობას მოგახსენებთ ტოკიოში მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი შვიდეულის თათბირის წინ თქვენს მიერ ამ დღეებში გამოგზავნილ წერილთან დაკავშირებით.

როგორც თქვენთვის ბონში ჩვენი საუბრებიდან ცნობილია, მე კარგად მესმის ის მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რომელშიც თქვენი ქვეყანა იმყოფება. ფედერალურმა მთავრობამ აქედან სათანადო დასკვნები გამოიტანა და როგორც თქვენ ეს ფედერალურმა მინისტრმა შპრანგერმა დაწვრილებით განგიმარტათ, თქვენს ქვეყანას შემდგომი დახმარებისათვის 53 მილიონი გერმანული მარკა გამოუყო.

მაგრამ თქვენს ქვეყანაში უკიდურესად მძიმე მდგომარეობის დაძლევა მხოლოდ გარედან ფინანსური დახმარებით შეუძლებელია, უპირველესად საჭიროა აფხაზეთის კონფლიქტის დაუყოვნებლივი მოგვარება და საქართველოში წესრიგის აღდგენა.

ვინაიდან ამ მიზნების მიღწევა მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი, მე ეს საკითხი დავაყენე ტოკიოში შვიდეულის თათბირზე და პრეზიდენტ ელცინთან ბაიკალზე საუბრისას. ელცინმა გარკვევით გამოთქვა აზრი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და რუსეთის კონსტრუქციული როლის შესახებ. ვიმედოვნებ, რომ ეს ხელს შეუწყობს აფხაზეთში კონფლიქტის უფრო სწრაფად მოგვარებას.

მეგობრული სალმით
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი
ჰელმუტ კოლი.

აფხაზური რეპორტაჟი

სოხუმი: იმედის პირველი ნაპერწკლები

სოხუმი იმედით ცოცხლობს. იმის იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს, დადგება ნანატრი მშვიდობა, აღარ დაიღუპებიან ადამიანები, აღარ დაინგრევა სახლები.

სოხუმში იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გაიმართა ხანგრძლივი საუბარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირად წარმომადგენელთან ედუარდ ბრუნერთან.

საქინფორმის ფოტოქრონიკის სპეციალური კორესპონდენტი სერგო ედიშერაშვილი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს ამ მოგზაურობაში ახლდა, გვაცნობს, თუ რით ცხოვრობს ახლა ტანჯული სოხუმი.

სურათებზე: 1. თბილისიდან სოხუმში დაბრუნებული პირველი „მერცხლები" — პირველი ლტოლვილები; 2. სოხუმის ბაზარში; 3. შეხვედრა ნაცნობ ქალიშვილთან სოხუმის ქუჩაში; 4. დიდი ხნით დადუმდნენ ტანკის ზარბაზნები?

საქართველოს პარლამენტის სხდომის დღიური

გამოიკვეთა სამთავრობო კრიზისი

ქარგა ხანია პარლამენტის სხდომათა დარბაზში არ ყოფილა ასეთი ხალხმრავლობა. სულ ერთი კვირაც არ გასულა, რაც პარლამენტმა საზაფხულო არდადეგები გამოაცხადა და 5 აგვისტოს სახელმწიფოს მეთაურის წინადადებით გაიმართა საგანგებო სხდომა. მასზე განსახილველად გამოტანილი იყო ორი საკითხი — საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის და საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

მუშაობის დაწყებამდე სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სურს პარლამენტმა იცოდეს, თუ რა ვითარებაა ზუგდიდში და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ფაქტობრივად, იქ, თქვა მან, არაფერი არაჩვეულებრივი არ ხდება. იყო გარკვეული გართულებები და არ შეიძლებოდა არ მიგვეღო ზომები. საბედნიეროდ, ყველაფერმა უმტკივნეულოდ ჩაიარა, არაფერი არაჩვეულებრივი არ არის იმაშიც, რომ ამჟამად „მხედრიონი" ზონაში დგას. მას თავისი დავალება აქვს, როგორც თავდაცვის მინისტრისაგან, ისე პირადად ჩემგან. მოგეხსენებათ, რომ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში აფხაზეთიდან 800 მეომარი გამოვიდა. ეს ნორმალურიცაა. დროთა განმავლობაში, როდესაც პოზიციებს დაიკავებენ სამმხრივი მეთვალყურეები, იქიდან ჯარსაც გამოვიყვანთ. მაგრამ, ჯერჯერობით, შესუსტებულ პოზიციებს გაამაგრებენ „მხედრიონის" შენაერთები. სულ ახლახან გაიმართა ჩემი საუბარი ბატონ ლოთი ქობალიასთან, შევთანხმდით, რომ „მხედრიონი" უმტკივნეულოდ გაივლის ზუგდიდს, უფრო მეტიც, იგი პირადად გააცილებს ამ შენაერთს პოზიციებამდე.

არა მაქვს არავითარი უფლება არ ვერწმუნო და არ დავიჯერო, რომ ეს ინციდენტი ყოველგვარი გართულების გარეშე ამოიწურება, თუ ამას შეიძლება ინციდენტი ეწოდოს.

სახელმწიფოს მეთაურის ამ განმარტების შემდეგ დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინეს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, ფინანსთა მინისტრმა კახი პოპიაშვილმა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ბასილიამ.

მეხუთე თვეა სახელმწიფო დაუმტკიცებელი ბიუჯეტით ცხოვრობს. ამან კი ერთობ რთული ვითარება შექმნა ისედაც გაჩანაგებულ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. რეალურად შეიქმნა იმის საშიშროება, რომ, თუ პარლამენტი არ მიიღებს კანონს ბიუჯეტის შესახებ, ვეღარ დაფინანსდება სახალხო მეურნეობის ვერც ერთი დარგი და, ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ ამას რა მოჰყვება...

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის პირველი განხილვა პარლამენტის სხდომაზე 22-23 ივლისს გაიმართა და საკმაოდ ცხარე კამათის შემდეგ პროექტი მთავრობას დაუბრუნდა მისი შემდგომი სრულყოფისა და დახვეწისათვის.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით ბიუჯეტის ხარჯიც, რომელიც საწყის ვარიანტში შეადგენდა 448 მილიარდ კუპონს, დაყვანილია 440 მილიარდამდე. ამ ეტაპზე, განაცხადა მან, უფრო მეტით მისი შემცირება შეუძლებელია, რადგან, თუ ეს მოხდება, იგი ძირითადად შეეხება სოციალურ სფეროს, ჯანდაცვას, განათლებას, სპორტს.

მომხსენებლებმა პასუხი გასცეს პარლამენტართა შეკითხვებს. ამ პასუხთა უმრავლესობამ ვერ დააკმაყოფილა პარლამენტის წევრები და გადაწყდა, რომ კამათი ბიუჯეტის შესახებ არ გამართულიყო. ნათელი გახდა, რომ პარლამენტართა უმრავლესობა უნდობლობას უცხადებს მთავრობას, მის მიერ გაწეულ მუშაობას და დღის წესრიგში დადგა მინისტრთა კაბინეტის ნდობა-უნდობლობის საკითხი. მიუხედავად ამისა, კანონპროექტი ბიუჯეტის შესახებ მაინც იყო დაყენებული კენჭისყრაზე, მაგრამ იგი არ მიიღეს...

კამათმა მინისტრთა კაბინეტის ნდობა-უნდობლობის ირგვლივ მწვავე ფორმები მიიღო და რიგ შემთხვევებში დარღვეული იყო პარლამენტართა ქცევის ეთიკური ნორმებიც კი.

მინისტრთა კაბინეტს შესთავაზეს გამოეყენებინათ კანონმდებლობით მიცემული შანსი — მოეთხოვათ ერთი კვირა ბიუჯეტის პროექტის კორექტირებისა და დახვეწისათვის. კაბინეტის წევრთა სახელდახელო თათბირის შემდეგ მათ ამაზე უარი განაცხადეს. ამავე დროს, მინისტრთა კაბინეტმა არ დააყენა გადადგომის საკითხი.

ნათლად გამოიკვეთა სამთავრობო კრიზისი, სამწუხაროდ, პარლამენტში შემავალი ზოგიერთი პარტია, ფრაქცია, პარლამენტის ცალკეული წევრები შეეცადნენ იგი პირადი ამბიციებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოეყენებინათ.

შექმნილ სიტუაციაში პარლამენტის წევრთა ნაწილმა სახელმწიფოს მეთაურს მოსთხოვა ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით და გარკვეული დროის განმავლობაში მოახდინოს მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაცია, დროებით კი თავად იკისროს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება.

სხდომის შედეგები შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა — პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ.

— ჩვენ რომ ვემუშავა იმის მიხედვით, როგორც ეს კანონშია ჩაწერილი, — თქვა მან, — სადავო არაფერი იქნებოდა. თუ ბიუჯეტი არ დამტკიცდებოდა, მინისტრთა კაბინეტს უფლება ჰქონდა ერთი კვირის ვადაში სათანადო კორექტივების შეტანით ხელმეორედ გამოეტანა იგი სხდომაზე. ხოლო, თუ მაშინაც არ დამტკიცდებოდა, დღის წესრიგში დადგებოდა მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხი. გართულება გამოიწვია იმან, რომ მთავრობამ არ ისარგებლა თავისი უფლებით. მიმაჩნია, რომ მინისტრთა კაბინეტი ამაღამ უნდა შეიკრიბოს, აწონ-დაწონოს ყველაფერი და ხვალ პარლამენტს აცნობოს თავისი გადაწყვეტილება.

რატომ იქნა მოწვეული ეს სხდომა? ყველა სხდომა, რომელსაც არდადეგების პერიოდში მოვიწვევდით, იქნებოდა საგანგებო. მით უმეტეს, არ არის გასაკვირი, რომ ბიუჯეტისადმი მიძღვნილი სხდომა საგანგებო იყოს, რადგან უბიუჯეტოდ წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა.

აქ გაისმა ხმები იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისათვის. სირცხვილია, იმას, რაც აქ ხდება, ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაარქვა. და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა არ იცის, ვინ როგორ აპირებს ხელისუფლებისათვის ბრძოლას, ცდება. საქართველოში სხვაგან დაიწყო ხელისუფლებისათვის ბრძოლა, ამას არც მალავენ და იქ ყველაფერი გათვლილი აქვთ: ვინ სად და როდის უნდა დაბრუნდეს, — თქვა მან. — და ეს შეიძლება გახდეს საქართველოში უმძიმესი სამოქალაქო ომის დასაწყისი. აშკარაა, რომ ვიღაცას ძალიან უნდა ჩაშალოს აფხაზეთის ზავი, რომ გზა გაეხსნას ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. სამწუხაროდ, ისინი ვერ ხედავენ, რომ ამით უდიდეს განსაცდელს უმზადებენ ქვეყანას, ჩვენ გველოდება სრული ქაოსი, სრული ანარქია. ხშირად ამ ძალების უკან დგანან პოლიტიკური მოღვაწეები. მოვა დრო და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

საქართველო და ქართული სახელმწიფოებრიობა უდიდესი განსაცდელის, ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას. ქვეყანას სრული ქაოსი და ანარქია მოიცავს.

სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა პარლამენტარებს, ნუ მოერიდებიან ავტორიტეტებს, და როგორც თენგიზ კიტოვანმა თქვა, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიან, შემდეგ სხდომაზე იმსჯელონ არა მარტო მინისტრთა კაბინეტის, არამედ სახელმწიფოს მეთაურის ნდობის შესახებაც. მე დღესვე გადავდგებოდი, მაგრამ მიჭირს ამის გაკეთება, რადგან არ ვიცი, რა იქნება ხვალ. მაგრამ, თუ პარლამენტი გადაწყვეტს, რომ უნდა გადავდგე, გადავდგები. დავრჩები რიგით კონსულტანტად და ჩემს მთელ ძალ-ღონეს კვლავაც მოვახმარ ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვას.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ ქვეყანა უნდა გადავიდეს მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე, ეს ეხება ყველა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურას, ყოველ მოქალაქეს. ან იქნება წესრიგი, და სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსება, ან დაიშლება პარლამენტი, თავის გზით წავა მინისტრთა კაბინეტიც, სახელმწიფოს მეთაურიც. დღეს სახელმწიფოს ხსნის ერთადერთი გზა არის ხელისუფლების ცენტრალიზაცია. ბოლო უნდა მოეღოს ანარქიას ყველა სფეროში. ახლა, როდესაც გაჩნდა ომის დამთავრების იმედი, ყველაზე მეტად გვჭირდება განსაკუთრებული რეჟიმით მუშაობა.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა შეფასება მისცა მინისტრთა კაბინეტის მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს და აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, არ იქნა გამოკვეთილი თუ როგორ უნდა გამოცოცხლდეს ეკონომიკა. და ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყანას აშკარად ემუქრება შიმშილის საფრთხე. არც ერთი ჩვენი დიდი საწარმო არ მუშაობს, — თქვა მან, — არადა, როგორ შეიძლება ისეთი სამრეწველო პოტენციის ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, წელიწადში 100 მილიონი დოლარი მაინც არ დააგროვოს. ეს თანხა გაზის საფასურს გაგვისტუმრებდა. აი ასეთი მომენტები არ ჩანდა ბიუჯეტში, — განაგრძო მან, — ამიტომაც არის ნაწყენი პარლამენტი და ამიტომაც არ გაიმართა კონსტრუქციული მსჯელობა. ეს, რაც წარმოადგინეთ, ფარატინა ქაღალდებია, სინამდვილეში კი ქვეყანა თავის გზით მიდის — იყიდება ჩვენი სტრატეგიული ნედლეული — ჩაი, ღვინო. ვიძარცვებით. ამიტომ საგანგებო რეჟიმით ამ საქმეშიც წესრიგი უნდა დავამყაროთ. სრულიად საქართველოს გასაგონად ვაცხადებ, რომ, თუ კარდინალურად არ გარდავქმნით ჩვენი მუშაობა, ქვეყანა დასაღუპად არის განწირული.

სახელმწიფოს მეთაურმა კვლავ მოუწოდა მინისტრთა კაბინეტს აწონ-დაწონოს თავისი გადაწყვეტილება და ხვალინდელ სხდომაზე მოვიდეს კონსტრუქციული მოსაზრებებით. ახლა ისეთ დროში ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ უნდა უკუვაგდოთ ყოველგვარი პირადული და ჯარისკაცებად ვიქცეთ ყველანი. პირველ რიგში კი ჩვენ — სახელმწიფოს ხელმძღვანელები. პირადად მე ამისათვის მზად ვარ.

დასასრულ სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა ყველას, არავინ გაექცეს თავის წილ პასუხისმგებლობას, ამიტომ 6 აგვისტოს მორიგ სხდომაზე მიიღონ სწორედ ის გადაწყვეტილება, რომელიც დღეს აუცილებელია საქართველოს გადარჩენისათვის.

პარლამენტის სხდომა დაიწყება 16 საათზე.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

საუბარი სახელმწიფოს მეთაურთან

5 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი, რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გაერთიანებული კომისიის რუსეთის ნაწილის ხელმძღვანელი სერგეი შოიგუ, მათი თანხმლები ოფიციალური პირნი.

საუბრის დროს განიხილეს აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების რეალიზაციის, გაერთიანებული კომისიის ეფექტიანი საქმიანობის გზები და შესაძლებლობანი. მხარეებმა ერთნაირი აზრი გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ საჭიროა უსწრაფესად და კიდევ უფრო აქტიურად ჩააბან სამშვიდობო ღონისძიებებში ისეთი ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, დაუყოვნებლივ შეიყვანონ კონფლიქტის ზონაში მათი მეთვალყურენი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ეროვნებათშორისი ურთიერთობის და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე, რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი იმიგრაციის შესახებ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1993 წლის 1 სექტემბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს 1993 წლის 25 აგვისტომდე:

ა) იუსტიციის სამინისტროსთან შექმნას მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური და დაამტკიცოს ამ სამსახურის დებულება;

ბ) დაამტკიცოს დებულებები:

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის საკითხების განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტთა შემოსვლისა და საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის წესის შესახებ;

იმიგრანტთა რეგისტრაციის წესის შესახებ;

იმიგრანტის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების წესის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტთა ადაპტაციისათვის ხელშეწყობის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის სტატისტიკის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი. 1993 წლის 27 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონი

თავი I.
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის დანიშნულება

საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის დანიშნულებაა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესების შეულახავად განსაზღვროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირთა (ტექსტში შემდგომ „უცხოელები“) საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოსვლის, ანუ იმიგრაციის წესი და პირობები, აგრეთვე მოაწესრიგოს ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი.

მუხლი 2. იმიგრაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციას აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილია ამ კანონისგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

თავი II.
იმიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობა

მუხლი 3. იმიგრანტის სტატუსი

იმიგრანტად საქართველოს რესპუბლიკაში ითვლება უცხოელი, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოიპოვა საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრების უფლება.

იმიგრანტის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს:

1. წარმოშობით ქართველს, ე. ი. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის მამა ქართველია;
2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მშობლებს, მეუღლეს, 18 წლამდე ასაკის ან სრულწლოვან არაქმედუნარიან შვილებს;
3. იმიგრანტის მეუღლეს, 18 წლამდე ასაკის ან სრულწლოვან არაქმედუნარიან შვილებს;
4. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირებს;
5. უცხოელს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მეურვე ან მზრუნველია;
6. მეცნიერების დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს და ხელოვნების მოღვაწეებს, რომელთა ჩამოსვლა შეესაბამება საქართველოს ინტერესებს, აგრეთვე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტ-ტექნიკოსებს და მუშებს, რომლებიც ესაჭიროებიან საქართველოს მეურნეობას.

იმიგრანტის სტატუსის მისაღებად უცხოელს უნდა ჰქონდეს შემოსავლის მუდმივი ლეგალური წყარო, რომელიც შესაძლებლობას მისცემს უზრუნველყოს თავისი (თავისი ოჯახის წევრების) მინიმალური საარსებო მოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებათა ფულად ეკვივალენტს სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს გაანგარიშების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თუ იმიგრანტს არა აქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობანი, უნდა არსებობდეს მისი (მისი ოჯახის წევრის) შრომითი მოწყობის გარანტია, ასეთ დასკვნას იძლევა სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო.

ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

უცხოელს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციაზე:

1. თუ ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ;
2. თუ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩადენილი აქვს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული ან მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
3. თუ მისი ჩამოსვლა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის ზნეობაზე;
4. თუ დაავადებულია შიდსით, ვენერიული ავადმყოფობით ან სხვა ისეთი სენით, რომელიც შედის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ნუსხაში, შეპყრობილია ალკოჰოლიზმით ან ნარკომანიით;
5. თუ მან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრების ნებართვის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი ვიზის მოსაპოვებლად წარმოადგინა ყალბი ან ძალის არმქონე საბუთები;
6. თუ ადრე გაძევებული იყო საქართველოს რესპუბლიკიდან;
7. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 5. იმიგრანტის შემოსვლა საქართველოს რესპუბლიკაში

უცხოელს, რომელიც მიიღებს საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვას, საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულო დაწესებულებათა მეშვეობით მიეცემა საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი ვიზა.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელ ვიზას ძალა აქვს ერთი წლის განმავლობაში გაცემის დღიდან. თუ ამ ხნის მანძილზე უცხოელი არ ჩამოვა საქართველოში, ვიზა კარგავს ძალას, ხოლო საქართველოს რესპუბლიკაში მისი იმიგრაციის საკითხი გადაწყდება ხელახლა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

უცხოელი, რომელმაც მოიპოვა საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისას გადის საპასპორტო კონტროლს, რომლის დროსაც მან უნდა წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვა, შემოსასვლელი ვიზა, პასპორტი ან მისი შემცვლელი დოკუმენტი.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისას ყოველი იმიგრანტი გადის სავალდებულო სამედიცინო კონტროლს.

იმიგრანტს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლაზე, თუ არსებობს ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება.

მუხლი 6. იმიგრანტთა რეგისტრაცია

ყოველი იმიგრანტი საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოსვლიდან 10 დღის განმავლობაში ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია შინაგან საქმეთა ორგანოებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

იმიგრანტი ვალდებულია შეატყობინოს შინაგან საქმეთა ორგანოებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის გაძევების საფუძველი

იმიგრანტი საქართველოს რესპუბლიკიდან შეიძლება გაძევდეს, თუ:

1. ცნობილი გახდება, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვა მოიპოვა ყალბი ან ძალის არმქონე საბუთების წარდგენის გზით;
2. ჩაიდენს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულს;
3. განზრახ სისტემატურად არღვევს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას ან უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ზნეობაზე;
4. მისი ყოფნა საქართველოს რესპუბლიკაში ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს;
5. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის გაძევების შესახებ იღებს იუსტიციის მინისტრი შესაბამისად შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროების, პროკურატურის, სასამართლო ორგანოების და საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის წარდგინების საფუძველზე.

ამ მუხლის პირველი ნაწილის პირველი, მესამე და მეოთხე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება იმიგრანტის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების შესახებ 10 დღის ვადაში მისი გამოტანის მომენტიდან წერილობით ეცნობება იმიგრანტს, რომელიც ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღეში დატოვოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია. იმიგრანტს უფლება აქვს ასეთი გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში. ამ შემთხვევაში 30-დღიანი ვადის მიმდინარეობა წყდება და განახლდება სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან დატოვონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია სასჯელის მოხდის შემდეგ 30 დღის ვადაში.

გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის გაძევების თაობაზე არ ვრცელდება იმიგრანტის ოჯახის წევრებზე.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკიდან იმიგრანტის იძულებითი გაძევება

იმიგრანტი, რომელიც არ შეასრულებს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქართველოს რესპუბლიკიდან იძულებით გაძევდება.

იძულებითი გაძევების წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 9. იმიგრანტის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები

იმიგრანტის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები საქართველოს რესპუბლიკაში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონით უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თავი III.
საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციასთან დაკავშირებული პროცესების სახელმწიფო რეგულირება და მართვის ორგანიზაცია

მუხლი 10. საიმიგრაციო კვოტა

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიზნით ყოველწლიურად ხდება საიმიგრაციო კვოტის განსაზღვრა, რაც გულისხმობს იმიგრაციის ზღვრული სიდიდის დადგენას.

იმიგრაციის კვოტას ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე 3 თვით ადრე განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 11. იმიგრაციის კვოტის შეზღუდვა

სახელმწიფო, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადების საფუძველზე შეუძლია შეზღუდოს იმიგრაციის კვოტა.

მუხლი 12. იმიგრაციის მართვის ორგანიზაცია

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს იხილავს და წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობათა წინასწარი განხილვის და მასალების მომზადების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება მოქალაქეობის და იმიგრაციის სამსახური. საიმიგრაციო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობენ ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის, ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროების, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

მოქალაქეობის და იმიგრაციის სამსახურის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 13. იმიგრანტის ადაპტაციისთვის ხელშეწყობა

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტთა ადაპტაციის პირობებსა და წესებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი IV.
იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობათა შეტანის და განხილვის წესი

მუხლი 14. იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობათა შეტანის წესი

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვს ქმედუნარიან და სრულწლოვან უცხოელს.

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობა დაინტერესებულ პირს შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში უშუალოდ, ან საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობათა მეშვეობით.

შუამდგომლობას იმიგრაციის შესახებ უნდა დაერთოს სანოტარო ან მასთან გათანაბრებული წესით დამოწმებული შემდეგი საბუთები:

1. დაბადების მოწმობის ან მასთან გათანაბრებული საბუთის ასლი;
2. ცნობა ოჯახის წევრთა შემადგენლობის შესახებ, ქორწინების მოწმობის ასლი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საბუთებისა, შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

1. ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

მამის ეროვნების დამადასტურებელი საბუთი;

თუ მშობლის ეროვნების დადასტურებისათვის საჭირო გახდა საარქივო მასალების მოპოვება, შუამდგომლობის აღმძვრელ პირს იუსტიციის სამინისტრომ უსასყიდლოდ უნდა აღმოუჩინოს შესაბამისი დახმარება.

2. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ნათესავის მიერ გაგზავნილი მოწვევა;

ბ) ნათესაური კავშირის დამადასტურებელი საბუთი;

3. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის;

ა) თუ ისინი თან მოჰყვებიან შუამდგომლობის აღმძვრელ პირს, — ამ უკანასკნელის შუამდგომლობა მათთვის იმიგრანტის სტატუსის მინიჭების შესახებ;

ბ) თუ ისინი საცხოვრებლად ჩამოდიან იმიგრანტთან, — ამ უკანასკნელის მოწვევა.

4. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთათვის:

ა) მეურვეობის ან მზრუნველობის მოწმობა;

ბ) მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირის თანხმობა.

ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ პირებს.

5. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის:

ა) სპეციალობის (პროფესიის) დამადასტურებელი საბუთი;

თუ იმიგრანტ მშობლებს თან მოჰყვებიან 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილები, საჭიროა ამ უკანასკნელთა წერილობითი თანხმობა იმიგრაციაზე.

თუ საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოდის მხოლოდ ერთი მშობელი, რომელსაც მოჰყვებიან 18 წლამდე ასაკის შვილები, მან უნდა წარმოადგინოს სანოტარო წესით დამოწმებული მეუღლის თანხმობა იმის შესახებ, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ბავშვებმა იცხოვრონ იმიგრანტ მშობელთან ერთად; თუ ასეთი თანხმობა არ არის, იმიგრანტმა მშობელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილება ბავშვების მიკუთვნების თაობაზე.

საჭიროების შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია იმიგრაციით დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს დამატებითი საბუთების წარმოდგენაც.

მუხლი 15. სახელმწიფო ბაჟი

იმიგრაციის საკითხზე შუამდგომლობის შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით.

მუხლი 16. იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობათა განხილვისა და გადაწყვეტის ვადა

იმიგრაციის საკითხებზე განცხადებათა განხილვა-გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

მუხლი 17. იმიგრაციის საკითხებზე გადაწყვეტილების გასაჩივრება

გადაწყვეტილება იმიგრაციის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 18. იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობის განმეორებითი განხილვა

იმიგრაციის საკითხებზე შუამდგომლობის განმეორებითი განხილვა შეიძლება გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 19. იმიგრაციის სტატისტიკა

საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ამ მონაცემებს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

რუსეთთან მტრობას მეგობრობა გვირჩევნია,

ანუ როგორ მიიწვია მუშამ პარლამენტარები საწარმოში

სწორედ რომ ასე იყო. ჯერ კიდევ თებერვლის ხუსხიან დღეებში ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ ვეტერანმა მუშამ, ოთხმოც წელს მიტანებულმა გრიგოლ ლომიძემ ჩვენი გაზეთის მეშვეობით („მოგვეცით შრომის საშუალება“, 18. II. 93 წ.) რესპუბლიკის პარლამენტარები ფაბრიკაში მიიწვია.

„მე მუშაკაცი ვარ, — წერდა ბატონი გრიგოლი, — პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ძალზე მაკვირვებს ზოგიერთი პარლამენტარის პოზიცია — არ დაიდოს მეგობრობის ხელშეკრულება რუსეთთან, ჩვენს მეზობელთან, რომელთან ეკონომიკურ კავშირებზე ჩვენი კეთილდღეობა ბევრად არის დამოკიდებული. დიახ, პარლამენტში ამ საკითხზე კამათობენ, ბჭობენ, ჩვენ კი გაჩერებული ვართ, არ ვმუშაობთ, პროდუქციას არ ვქმნით. ასეთი სურათის შემყურეს ხშირად მიჩნდება სურვილი ვთხოვო ბატონ ნოდარ ნათაძეს (იგი თავის გამოსვლებში კატეგორიული წინააღმდეგია ხოლმე რუსეთთან სამეგობრო ხელშეკრულებისა), მობრძანდეს ჩვენს ფაბრიკაში, შეხვდეს მშრომელ ადამიანებს, გაიგოს მათი გასაჭირი და არა მარტო მან, ალბათ, დროა პარლამენტის წევრებმა გამონახონ თავისუფალი დრო, რათა შეხვდნენ ფაბრიკა-ქარხნების მშრომელებს, პირადად დარწმუნდნენ, არის თუ არა საჭირო ხელშეკრულება მეზობელ სახელმწიფოსთან“.

რაც მართალია მართალია, მუშაკაცის ამ სიტყვებს გულცივად ვერ წაიკითხავ. დარწმუნებული ვარ, ეს წერილი პრესაში თავის დროზე კომუნისტ ბიუროკრატებს რომ ეხილათ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური ჯგუფის თუ არა, რაიკომის ბიუროს გამსვლელ სხდომას მაინც გამართავდნენ საწარმოშივე. დღეს, საყოველთაო დემოკრატიის მშენებლობის პერიოდში კი, რა ხდება?

„როგორ ვიფიქრებდი, — იტყობინება ბატონი გრიგოლი რედაქციაში გამოგზავნილ მეორე წერილში, — რომ გაზეთის პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით დასტამბულ მუშათა სატკივარს გულთან არავინ მიიტანდა, პარლამენტში ან სამინისტროში მისით არავინ დაინტერესდებოდა. თქვენც არ მომიკვდეთ! — არსაიდან ხმა, არსით ძახილი... არავინ მოსულია აზრად მატერიალურად თუ არა, მორალურად მაინც დაგვხმარებოდა, არადა, ერთიც ჰაერივით გვჭირდება და მეორეც. წარმოიდგინეთ, იქამდე მივედით, რომ სამშობლოს დამცველი ჯარისკაცისთვისაც ვეღარ შეგვიკერია ფეხსაცმელი“.

გადავწყვიტე საწარმოს ვწვეოდი. მართალია, არც პარლამენტარი ვარ და არც სამინისტროს მუშაკი (ფაბრიკაში შესვლას მათგან მოელიან), მაგრამ ხომ შეიძლება კალმით მაინც წავეხმარო?

— რატომაც არა, — მეუბნება გაერთიანების გენერალური დირექტორი ავთანდილ ჯანაშია, — ჩვენ ასეთი დახმარებაც გვჭირდება. იქნებ, ხელისუფალნი, ჩვენთან თუ ვერ მოვლენ, გაზეთით მაინც გაეცნონ ჩვენს გასაჭირს და უფრო რეალური პოლიტიკის გამტარებლები გახდნენ!

ამის თქმა ძლივს მოასწრო დირექტორმა, რომ კარი ორმა გვარდიელის ფორმიანმა ახალგაზრდამ შემოაღო.

— რა გნებავთ? — ჰკითხა მასპინძელმა ჯარისკაცებს.

— იცით, ბათინკები ვერსად ვიშოვეთ, იქნებ თქვენ მაინც გქონდეთ რაიმე შემორჩენილი, — ჩაილაპარაკეს დარცხვენით ბიჭებმა.

— რაც გვქონდა, მთლიანად თავდაცვის სამინისტრომ წაიღო. შესაკერი მასალაც აღარ დაგვრჩა, ასე რომ, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერაფრით დაგეხმარებით.

— სულ აღარაფერი დაგრჩათ?

— აღარაფერი...

ჯარისკაცები მხრებაწურულნი გავიდნენ. ოთახში მე და ნირწამხდარი დირექტორი დავრჩით.

— ეს რომ პირველი შემთხვევა იყოს, რა უჭირდა, მეუბნება ბატონი ავთანდილი, მაგათ შემხედვარეს კაცს გული დაგეთუთქება, მაგრამ რაც არა გვაქვს, რა გავცეთ?

— ეს ამდენი სიმძლავრეები მაინც არ გვედგას, — რომელი ქვეყნისა არ გინდა — იტალიის, საფრანგეთის, ავსტრიის, გერმანიის თუ იუგოსლავიისა, მაგრამ რად გინდა — მათგან მხოლოდ 20-25 პროცენტს თუ ვიყენებთ. მარტო სათაო საწარმომ წელიწადში 5 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი უნდა გამოუშვას, ჩვენ კი წლეულს პირველ ნახევარში 222 ათასი წყვილი ძლივს მივეცით მომხმარებელს.

— ამიტომაც არის მაღაზიებში ფეხსაცმლის დახლები ცარიელი! კომერციულში რამდენიც გინდა და როგორიც გინდა, აწყვია, მაგრამ ისეთი ფასი ადევს, ვერ მიეკარები. თუ ასე გაგრძელდა, მალე ხალხი მარტო მშიერი კი არა, შიშველიც დარჩება.

— ასე გამოდის. საზედაპირე ტყავის უქონლობის გამო მამაკაცის ფეხსაცმელს საერთოდ ვეღარ ვკერავთ, ერთადერთი, რასაც მომხმარებელს ვაწვდით, ეს არის საბავშვო (ისიც ხელოვნური ტყავის) და ოთახის ფეხსაცმელი.

რატომ ვართ ასეთ დღეში? მე მგონი ეს ყველასთვის ნათელია, რომ არაფერი ვთქვათ რუსეთთან და საერთოდ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ტრადიციული სამეურნეო კავშირების მოშლაზე, ბარტერული გაცვლის გზითაც არაფერი გამოგვდის. ჯერ ერთი, გაჭირდა რესპუბლიკებში ჩვენთვის საჭირო მასალების ლიცენზიების შოვნა, და მეორე, რომც მოგვცენ, უტრანსპორტობის გამო ვერ მოგვაქვს. მოგეხსენებათ, საწვავის დეფიციტმა ავტოტრანსპორტი საერთოდ გამოთიშა, რკინიგზაც ხშირად ან გადაკეტილია ან კონტეინერები არა აქვს.

მხოლოდ შრომა გადაგვარჩენს

გადაკეტილია საბანკო ურთიერთობის გზებიც. იმის გამო, რომ გადარიცხვები არ ხდება, დღემდე ვერ მივიღეთ უზბეკეთში რეალიზებული ფეხსაცმლის საფასური — 2 მილიონი მანეთი. იქაური ხელისუფლება არც იმის ლიცენზიას იძლევა, რომ ამ ღირებულების სხვა პროდუქცია მაინც წამოვიღოთ.

— გამოდის, რომ ნედლეულსა და მასალებს ვერსაიდან ვეღარ ღებულობთ?

— ასეა. კრედიტმაც აზრი დაკარგა. რისთვის ავიღოთ ვალი, თუ ფულს ვერსად ვერ გადავრიცხავთ და ვერსად ვერაფერს შევიძენთ? რუსეთმა ყველა გზა გადაგვიკეტა და რიყეზე ამოგდებული თევზივით დაგვტოვა. და ასეთ დროს ზოგი ჩვენი პარლამენტარი რიხით გაიძახის — აღარ გვინდა რუსეთთან ურთიერთობა, უმჯობესია სხვა ქვეყნებთან ვეძებოთ კავშირებიო. კი ბატონო, ახალი კავშირების წინააღმდეგი არც ჩვენ ვართ, მაგრამ ვიდრე მას მოვძებნიდეთ, მანამდე რა ვქნათ? ესეც არ იყოს, პროდუქციაც რომ შევქმნათ, გასაღების ბაზარი სად ვიშოვოთ? განა გულუბრყვილობა არ იქნება, ვირწმუნოთ, რომ ევროპა ჩვენი პროდუქციისთვის დაფეთდება?

არის სხვა პრობლემებიც, რომელთა გადაჭრაზე ახლავე უნდა ვიზრუნოთ. ერთი მათგანია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება. ჩვენ ტყავში ვძვრებით, სხვა რესპუბლიკებიდან ცეცხლის ფასად შემოგვაქვს მასალები, ადგილობრივი ტყავ-ნედლეული კი სომხეთსა და თურქეთში გადის. ადრე მოსახლეობაც ამზადებდა ტყავს, მაგრამ დღეს ამას რატომღაც ყურადღებას აღარავინ აქცევს. მით უფრო, რომ ამის თაობაზე, აგრეთვე რესპუბლიკიდან ტყავ-ნედლეულის გატანის აკრძალვის შესახებ არსებობს მთავრობის სპეციალური დადგენილებანი. ასეთი განუკითხაობა რომ არ იყოს და გადაწყვეტილებები ქაღალდზე არ რჩებოდეს, ჩვენ ნედლეულზე ასე გაჭირვებულები არ ვიქნებოდით.

დიდ საფიქრალში ჩაგვაგდო ინფლაციამ, რომელსაც ბოლო არ უჩანს, როგორც ცნობილია, წარმოების ანგარიშზე მყოფი თანხები, რომელიც მანეთებში აღირიცხებოდა, დღეს გადაიქცა კუპონებად. კუპონების კურსი კი ყოველდღე უფასურდება, მასთან ერთად უფასურდება კოლექტივის ოფლით მოპოვებული ქონებაც.

გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა კოლექტივს. 3 ათასი კაციდან დღესდღეობით საწარმოში 1300 მუშაკია შემოგვრჩა. ვინც დარჩა, ისიც სანახევროდ მოცდენილია და ამის გამო სატარიფო განაკვეთის რაღაც 67 პროცენტს თუ ღებულობს. საშუალო ხელფასი საწარმოში 15-20 ათასი კუპონია. ამ თანხით მუშაკაცი დღეს ბაზარში ერთ ქათამსაც ვერ იყიდის.

გავესაუბრეთ მუშებსაც.

— თვეში საშუალოდ 20 ათას კუპონს ვიღებ, მითხრა მკერავმა იასონ თათხაშვილმა, — ვითომ სათქმელად ბევრია, მაგრამ სავაჭროდ არაფერი! ამ ხელფასით ვარჩენ ოჯახს — მეუღლესა და სამ შვილს — თუ ამას რჩენა ჰქვია. ქალაქში ბავშვები ვერ გამიყვანია, რამე არ დაინახონ და ყიდვა არ მომთხოვონ-მეთქი. სახლშიც მაცივარს, შიგ რომ არაფერი მაქვს (მარტო წყალი მიდგას გულის გასაგრილებლად), სულ ხრიგინ-ხრიგინი გაუდის.

— მეც ორი მცირეწლოვანი ბავშვის პატრონი ვარ, ამბობს დავით არახამია. ზოგმა ბინის მიღება მაინც მოასწრო, მე ამ ხელფასით ბინის ქირაც უნდა ვიხადო და ოჯახიც ვარჩინო. მთავრობა პირობას იძლევა — კუპონს გავამაგრებთ და გვეშველებაო. მე პირადად მათი დაპირებისა არა მჯერა. საკითხავია, როგორ უნდა გაამაგრონ კუპონი უპროდუქციოდ? კუპონი ჩვენ, მუშებმა უნდა გავამაგროთ, მაგრამ როგორ, რით, თუ არ ვიმუშავეთ და პროდუქცია არ შევქმენით? თუ საწარმოები გამოვკეტეთ და გულხელდაკრეფილი ვისხდებით, კუპონი მუდამ წელში მოკაკული დარჩება.

— მეც მაგ აზრისა ვარ, შემოგვიერთდა საუბარში გრიგოლ ლომიძე, სწორედ ამიტომ გავბედე და მეორედ გამოვგზავნე წერილი რედაქციაში. კარგი იყო ის პარლამენტარები, რომლებსაც რუსეთთან ურთიერთობა არ მოსწონთ, პირადად მობრძანებულიყვნენ და ჩვენი საამქროს კარზე დადებული ბოქლომი ენახათ, ან კიდევ ისინი გვწვეოდნენ, რომლებიც აფხაზეთში ომის შეწყვეტის წინააღმდეგნი არიან და აქციები ქუჩაში კი არა, ჩვენს გაერთიანებაში ჩაეტარებინათ. აი მაშინ დარწმუნდებოდნენ, რას ნიშნავს პარლამენტში ფრაქციობანას თამაში, ტელევიზორით თავმოწონება, და რას ნიშნავს რეალური, შეუფერადებელი ცხოვრება.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოვითხოვთ, პარლამენტარებმა ისე გადაწყვიტონ საკითხები, როგორც მუშები ფიქრობენ, მაგრამ იმას კი უნდა გაუწიონ ანგარიში, რომ შრომის პირობები შეგვიქმნან. სხვანაირად ვერც ქვეყნის ეკონომიკას გამოვაცოცხლებთ და ვერც ოჯახებს გავამრავლებთ. მტრობით და სიძულვილით ჯერ ქვეყანა არავის აუშენებია. შესანიშნავად თქვა ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ — რუსეთთან მტრობას მეგობრობა მირჩევნიაო. მეც და ჩემი კოლექტივიც მთლიანად ვუჭერთ მხარს ამ პოზიციას.

• • •

ვისმენდი მათ ნათქვამს და ვიწერდი. მართალია, ისნელებს სანუგეშოს ვერაფერს შევპირდი, მაგრამ ის კი გავბედე, რომ მათი გულისნადები ერთ საგაზეთო წერილად შევკარი. ვინძლო ვინმემ წაიკითხოს და გულზე მოხვდეს!

ეს, ალბათ, უფრო მეტად იმათ ეხებათ, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკაში ერთგვარ ამინდს ქმნიან. ქარი საიდან უბერავს, ამას კი აღარ უყურებენ. აქ რატომღაც გამახსენდა ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი, რომელსაც ერთხელ თურმე შეხედეს — თქვენი თეორია ფაქტებს არ შეესაბამებაო. მით უარესი ფაქტებისათვის, უთქვამს ჰეგელს.

ჰეგელი ჰეგელია, მაგრამ ჩვენს ზოგიერთ პარლამენტარს ალბათ არ აწყენდა ცხოვრებისთვის შეეხედა, ცოტა ჩაღრმავებოდა და თავისი პოლიტიკური ქარგაც ამის მიხედვით აეგო. ეჭვი არ გვეპარება, ასეთი მიდგომა თვითონაც წაადგებოდა და ქვეყანასაც.

ოთარ ხუციშვილი.

სანახევროდ შრომობენ

ზაფხულის ამ ცხელ დღეებში უჩვეულოდ გამოიყურება თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანება.

უზარმაზარი საამქროები თითქოს დადუმებულან, აღარ ისმის ჩარხების გუგუნი. აქა-იქ თუ შეხვდებით რამდენიმე მუშას, რომლებიც თავიანთ ჩარხებთან ფუსფუსებენ.

როგორც გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ვაჟა გუჯაბიძემ გვითხრა, დღეისათვის საწარმოში 3 ათასის ნაცვლად 1300 კაცი თუ მუშაობს.

გაერთიანებამ დაამზადა ორასზე მეტი უნივერსალური ჩარხი, მაგრამ მომხმარებლისთვის ვერ გაუგზავნიათ, ვინაიდან შესაფუთი ხე-ტყე არა აქვთ. არადა, თითოეული ჩარხის ფასი ამჟამად ორი მილიონი მანეთია. მათი რეალიზაცია, ბუნებრივია, დიდ მოგებას მისცემდა საწარმოს.

●

სურათებზე: ასე გამოიყურება მზა ჩარხებით გავსებული საამწყობო საამქრო; მეცხრამეტე საამქროს მოწინავე მუშა ზურაბ ათანელაშვილი; გაერთიანებაში დამზადებულ ახალი სახეობის პროდუქციას — ჩაის გახაშრობ აგრეგატს ოზურგეთის ჩაის ფაბრიკაში გამოცდიან.

სიმონ კილაძის ტექსტი და ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყველაფერი ომისათვის!“

საქართველო კვლავ [illegible] ისტორიული დილემის წინაშე აღმოჩნდა. არჩევანი დიდი არ არის, — ორი ბოროტებიდან ერთ-ერთი უნდა ვამჯობინოთ. სიმართლეც სწორედ ამაშია, თორემ ომს მშვიდობა რომ სჯობია, ამ ჭეშმარიტების მტკიცებას დიდი სიბრძნე არ სჭირდება.

ამ მძიმე დროში ბევრ პოლიტიკოსს, და არა მარტო მათ, ღალატობს პროფესიული ალღო, ზომიერება, არსებული რეალობის გაცნობიერების უნარი; მონოპოლია ჭეშმარიტებაზე, ზედმეტი პრეტენზიულობა, ტოტალური აზროვნება უკიდურესობამდე ძაბავს ვითარებას; გვავიწყდება, რომ ჭეშმარიტება ერთია, მოკვდავნი კი მის ძიებაში ხშირად ვცდებით.

ასეთ დროს განსაკუთრებით იზრდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფაქტორი. საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას გადამწყვეტი როლი ენიჭება ისტორიული კატაკლიზმების დროს.

რა ტენდენციები შეიმჩნევა დღეს საქართველოს საინფორმაციო პოლიტიკაში. თუ ჩვენს პრესას გადავავლებთ თვალს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ საქართველოში შექმნილი მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია სარკესავით ირეკლება პრესაში. „მეოთხე ხელისუფლება“ ძნელად თუ ახერხებს სასიკეთო გავლენას საზოგადოებაზე.

მეტიც, იგი თავად ექცევა პოლიტიკური მოვლენების გავლენის ქვეშ და საზოგადოებაში შექმნილი ქაოსის შემოქმედების ობიექტი ხდება. „მეოთხე ხელისუფლება“, მთლიანობაში, ვერ ახორციელებს თავის ძირითად დანიშნულებას, — იყოს სიმშვიდისა და სტაბილურობის კატალიზატორი, ვერ იყენებს იმ ძირითად ბერკეტებს, რომლებიც მასობრივ ცნობიერებაზე პირდაპირი ზემოქმედების პრიორიტეტს ანიჭებს.

ცხადია, აქ არ იგულისხმება „ყვითელი პრესა“, ე. წ. ზვიადისტური გაზეთები, რომლებიც ასე თუ ისე ახერხებენ ამ პრიორიტეტის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას, მათი მთავარი ამოცანაა მკითხველის ცნობიერების დეზორიენტირება, მოსახლეობაში ქაოსის, პანიკის შეტანა.

ჟურნალისტისთვის არ უნდა არსებობდეს აკრძალული თემა, მაგრამ არის აკრძალული, უზნეობასა და უკანონობაზე აგებული მეთოდები, რაც უცხო და მიუღებელია ჟურნალისტური ეთიკის აღიარებული ნორმებისათვის.

საწყენია ზოგიერთი, ასე დავარქვათ, ცენტრისტული გაზეთის ფერისცვალება, რომლებმაც თავის დროზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ეროვნული მოძრაობის გაჯანსაღებაში და თავისუფალი პლურალიზმის ტრადიციებს ჩაუყარეს საფუძველი. მათ შორის იყო ჩემთვის მეტად პატივსაცემი გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ავტორიტარული რეჟიმის სიმწარე. ამდენად, გამაოცა 31 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „ომში დამარცხებასაც და გამარჯვებასაც უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკა განსაზღვრავს“, რომლის ავტორი გია თვალავაძე, პუბლიკაციის პათოსიდან გამომდინარე, ძლიერ დაახლოებია ჟურნალისტური ხერხების იმ სტანდარტებს, რომლებსაც ახლო წარსულში „ყვითელ პრესად“ მოიხსენიებდა.

სათქმელი უნდა ითქვას

მე არ შევუდგები აღნიშნული პუბლიკაციის საფუძვლიან განხილვას, რადგან ვერ ვხედავ განსხვავებულ, არაორდინალურ მიდგომას დასმული პრობლემისადმი. ამგვარი შინაარსის წერილები სისტემატურად ქვეყნდება გაზეთ „საქართველოს სამრეკლოსა“ და „იბერია სპექტრში“. როგორც ჩანს, ბ-ნი გია სერიოზულად იმკვიდრებს ხელისუფლებებთან მებრძოლი ჟურნალისტის იმიჯს. იგი წარმატებით ებრძოდა წინა ორ ხელისუფლებას და ამ საქმეში გაწაფული კალმით იქნებ ახალ წარმატებასაც მიაღწიოს, მაგრამ ვაი იმას, ვინც შემდეგ მოვა.

ბოლო დროს თბილისის ქუჩებში გამოიკრა ლოზუნგები თუ მოწოდებები: „ყველაფერი ომისთვის!“ „რას აკეთებ ომისთვის?“ და სხვა. ალბათ ამ პროპაგანდისტული პლაკატების ავტორთა მიზანი იყო გაებათილებინათ გავრცელებული აზრი, რომ თბილისში ომი არ იგრძნობა და უნებურად ომის პროპაგანდისტებად იქცნენ. რას იზამ, იქნებ დღევანდელი ვითარებისთვის ესეც სიმბოლურია, — რუსთაველის აფორიზმების მემკვიდრე ერი პროპაგანდისტული ლოზუნგების წერასაც ველარ ახერხებს. თუ ამ შეცდომას შევასწორებთ და „ომის“ მაგივრად „გამარჯვებას“ ჩავსვამთ, ალბათ დაფიქრების საბაბი მართლაც გაჩნდება, მაგრამ თუ იგივე ფორმას დავტოვებთ, პასუხის გაცემა არც თუ ისე რთული იქნება.

დავიწყოთ იქიდან, რომ ფრონტზე ვაგზავნით ჰუმანიტარულ დახმარებას, რომლის ნახევარი დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევს და გზაში იძარცვება, ხოლო რაც სოხუმში ჩადის, ადგილობრივი მაფიოზების ნადავლი ხდება. ამდენად, ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლი მეომრები და სოხუმის მოსახლეობა ჩვენს ყურადღებას, ცხადია, ვერ გრძნობენ; ფრონტის ზურგში და მეომარი ქვეყნის დედაქალაქში ვაწყობთ ტერორისტულ აქტებს, ვაფეთქებთ ხიდებს, სარკინიგზო მაგისტრალებს, სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის კომუნიკაციებს; ვიპარავთ და მამასისხლად ვყიდით უცხოელთა მიერ მოშიმშილე მოსახლეობისათვის სამადლოდ ნაბოძებ პურს, პროდუქტებს; საზღვარგარეთ გაგვაქვს ყველაფერი, რასაც კი ფასი აქვს; თავგანწირული ბრძოლების დროს ვაწყობთ აქციებსა და მიტინგებს ომის შეწყვეტის მოთხოვნით, და როცა ხელისუფლება სამშვიდობო შეთანხმებას აწერს ხელს, გამოვდივართ ანტისახელმწიფოებრივი ლოზუნგებით, ომის განახლების მოწოდებებით...

აი, რას ვაკეთებთ „ომისთვის“, ასე გვინდა გავიმარჯვოთ?!

საინფორმაციო საშუალებები იმდენად გაერთნენ პოლიტიკით, რომ ყურადღების მიღმა რჩებათ ჩვენი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი პრობლემები. ერის გადაგვარების ტენდენცია მძლავრობს, რასაც ნოყიერ ნიადაგს უქმნის ყოფითი სიძნელეები. ზნეობრივ-მორალური სიბინძურე, რომელიც ჩვენს ირგვლივ დაგროვდა, საინფორმაციო საშუალებათა კრიტიკის სტერილურ ფილტრში უნდა გატარდეს. მხოლოდ ხელისუფლებისადმი აპელირება ამ მდგომარეობიდან ვერ გამოგვიყვანს.

ომმა დაგვანახა როგორია საქართველო დღეს. მას მკურნალი სჭირდება და ამ მკურნალის ფუნქციას უნდა ასრულებდეს პრესა, ჟურნალისტიკა. „ბედნიერი ერის“ ავტორი ერთი გაზეთის ამარა ახერხებდა იმას, რასაც დღეს ვერ ახერხებს ორ ასეულზე მეტი ჟურნალ-გაზეთი.

რადიკალიზმი, რომელიც ასე შემოგვეჩვია, არასოდეს ყოფილა და ვერც იქნებოდა ერის ხსნის გზა. ამას ადასტურებს ისტორია. მაშინაც კი, როცა საქართველო სამართლებრივად არც კი არსებობდა, ჩვენი პოლიტიკა ზომიერი და მშვიდობიანი გახლდათ. ილია ჭავჭავაძე იმპერიის უზენაეს ორგანოშიც კი თანამშრომლობდა და საქართველოს ინტერესებს დამპყრობელთან პოლიტიკურ კამათში იცავდა. დღეს კი მისი სახელობის პოლიტიკური ძალები, რატომღაც მოლიპულ გზას გვთავაზობენ, ავიწყდებათ როგორც წინაპართა, ასევე თანამედროვე მოაზროვნეთა შეგონებანი: ამიტომ, გავიხსენებ აწ გარდაცვლილი მერაბ მამარდაშვილის სიტყვებს: „ნამდვილი არჩევანიც კი არ გაგვაჩნია, დასაფიქრებელიც კი არაფერია, მხოლოდ — შემოვბრუნდით [illegible]ლად, რომ ავიცილოთ [illegible], რომ განხეთქილებამ (იგულისხმება რუსეთი — რ. ს.) ჩაიაროს ხალხის ზედმეტი მსხვერპლის გარეშე“.

ზემოთ ნახსენებ წერილში ბ-ნი გია თვალავაძე აცხადებს: „პირველი დიდი დარტყმა საქართველომ სამაჩაბლოში მიიღო 1992 წლის 24 ივნისის სამშვიდობო ხელშეკრულების საშინელი შედეგებით. რუსულ-ოსური შეხმატკბილებული პოლიტიკის წყალობით“. და ცდილობს პარალელი გაავლოს აფხაზეთის შეთანხმებასთან. თუმცა, ეს მისი საქმეა. მე კი ვფიქრობ, რომ სამაჩაბლოს კომპრომისის ერთი მთავარი მიზანი სისხლისღვრის შეწყვეტა იყო, რაც შესრულდა კიდეც. ვინ იცის, ამ შეთანხმებით რამდენი მებრძოლი, მამა, ქმარი, ძმა გადაურჩა სიკვდილს, დასახიჩრებას. სოჭის ხელშეკრულების მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის: თუ ქართველი ახალგაზრდობა მოისპო და განადგურდა, ქორწილი არ გაიმართა, მრავალჟამიერი არ ითქვა, აკვანი არ დაირწა, ვის რაღად უნდა ასეთი საქართველო.

დღეს მოდური გახდა ახალი ტერმინი — „კაპიტულანტი“. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, არც მე ვიქნები დაზღვეული ამ იარლიყისგან. თუმცა, ურაპატრიოტების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ, თუ რომელიმე ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაცია ან ქვეყანა, თუნდაც რუსეთი, ეჭვის ქვეშ დააყენებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ცხადია, ჩვენი პოზიციაც უნდა შეიცვალოს. ახლა კი მოვეშვათ უარგუმენტო ბრალდებებს, ვაღიაროთ რომ მსოფლიოს პოლიტიკური სამყარო ჯერჯერობით სიმპათიით გვიყურებს და არაფერს გვედავება, ამიტომ ნუ ჩავიყენებთ თავს ურწმუნო თომას მდგომარეობაში, რადგან ვერც გაეროს გარანტიები, ვერც სხვა ათასი ძმა და მეგობარი ვერ გვიშველის, თუ შინაგანად არ მოვწესრიგდით, არ გავუსწორეთ თვალი რეალობას, არ მოვიქეცით ისე, როგორც ცივილიზებულ ერს შეეფერება.

რევაზ სადუნიშვილი.

პრობლემა

მიზანდასახულობა — შედეგით ფასდება

დღეს, როცა სასურსათო პროდუქტების უმწვავესი კრიზისია, როცა ხალხი შიმშილის ზღვარზეა მისული, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის წარმოების ზრდის ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურ ათვისებას და ამ მიმართებით ყველა ბერკეტის ამოქმედებას.

მეფრინველეობა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, პირველი გადავიდა სამრეწველო საფუძველზე. აშენდა დიდმწარმოებლური მეხორცული და მეკვერცხული მიმართულების ფაბრიკები (ჯერ კიდევ 1991 წლისათვის მოქმედებდა 57 ასეთი ფაბრიკა).

დიახ, სიმძლავრეები კი გვაქვს, მაგრამ მოსახლეობას მაინც აბსოლუტურად ვერ ვაკმაყოფილებთ ფრინველის ხორცითა და კვერცხით, იძულებული ვართ ეს პროდუქცია რესპუბლიკის გარედან შემოვიტანოთ და კომერციულ ფასებში გავყიდოთ. ამას მართალია, მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად — რა და როგორ კეთდება მდგომარეობის გამოსწორებისთვის?

ამ და სხვა საკითხების განმარტება ვთხოვეთ გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ ხელმძღვანელს ბატონ ბორის გოგოლაძეს.

— დარგის უკუსვლა და სერიოზული პრობლემები, — თქვა მან, — ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. მთავარი მიზეზთაგანი კი ალბათ ხარისხიანი კომბინირებული საკვების უქონლობა და ცუდი სოციალურ-ეკონომიკური პირობებია. შარშან, წლის ბოლოს, იძულებით დაიკლა და თითქმის მინიმუმამდე შემცირდა ფრინველის საერთო სულადობა. მხოლოდ თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკამ შეინარჩუნა სადედე და სამრეწველო გუნდის გარკვეული რაოდენობა, ხოლო საგარეჯოს, მეჯვრისხევის, წინაუბნის და თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკებმა უმნიშვნელო ნაწილი.

წელს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ფრინველმრეწვის სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავა ჩვენს რესპუბლიკაში მეფრინველეობის აღორძინების სამწლიანი პროგრამა, რომელიც რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა.

ვინაიდან რესპუბლიკაში საინკუბაციო კვერცხი პრაქტიკულად არ იწარმოებოდა, ჩვენი სისტემის წინაშე დადგა სანაშენე და საბროილერო წარმოების კვერცხის რესპუბლიკის გარედან შემოტანის აუცილებლობის საკითხი, მაგრამ რესპუბლიკის იზოლაციისა და ეკონომიკური ბლოკადის გამო, ძალზე გართულდა ფინანსური ოპერაციების ჩატარება თანხების გადარიცხვის თვალსაზრისით. სამინისტროს ხელმძღვანელთა ხელშეწყობით გაფორმდა ხელშეკრულება ისრაელის ფირმა „აგროსტართან“ 900 ათასი ცალი ბროილერის საინკუბაციო კვერცხზე, ასევე ყაზახეთის რესპუბლიკიდან შემოტანილია და დღესაც შემოდის მეკვერცხული მიმართულების—ალატაუს კროსის საინკუბაციო კვერცხი, რომლის პირველი პარტიები ჩაწყობილი და ინკუბირებულია თბილისის, წინუბნის, პატარძეულის, საგარეჯოს, მეჯვრისხევისა და სხვა ფაბრიკებში.

გარკვეული სირთულეებია ხარისხიანი კომბინირებული საკვებით ჩვენი ფაბრიკების მომარაგების მხრივ.

ამიტომაც, დღეისათვის კვლავ სერიოზული პრობლემაა მეფრინველეობის ფაბრიკების მომარაგება ხარისხოვანი კომბინირებული საკვებით. პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს მეფრინველეობის ფაბრიკებს დაბალანსებული, სრულფასოვანი, კომბინირებული საკვებით, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მეფრინველეობას. ვგულისხმობთ არატრადიციული ცილოვანი საკვების დამუშავებას. დღეისათვის მაინც პრობლემად რჩება ცილის დანამატების მწვავე დეფიციტი, რომლის დასაძლევადაც აუცილებელია გვქონდეს თევზის ფქვილის გადამამუშავებელი ქარხანა შავი ზღვის სანაპიროზე.

რაც შეეხება მეხორცეული მიმართულების ფაბრიკებს, აქაც მნიშვნელოვანი სამუშაოებია გაწეული მდგომარეობის გამოსასწორებლად. გამარჯვების საბროილერო და კოდის მეფრინველეობის ფაბრიკებში შემოტანილია საინკუბაციო კვერცხი, რომელმაც საბოლოო პროდუქცია აგვისტოში უნდა მოგვცეს. საინკუბაციო კვერცხი შემოდის უკრაინის რესპუბლიკიდანაც, რაც შეეხება ქართული ქათმის გენოფონდს, მეფრინველეობის სამეცნიერო-საკვლევ ცენტრში გვაქვს მცირერიცხოვანი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი რაოდენობის მეგრულას, ჩალისფერასა და ყელტიტველას პოპულაციები.

გადაწყვეტილი გვაქვს მეცნიერებთან მჭიდრო კავშირში ისე წარვმართოთ მუშაობა, რომ მივიღოთ გარკვეული შედეგები ადგილობრივი ფრინველის მომრავლებისა და გავრცელების მხრივ. ჩაფიქრებული გვაქვს პრაქტიკული მნიშვნელობის თემატიკები, რომელთა შესრულებაც, ჩვენი აზრით, გარკვეულად დაგვეხმარება კრიზისის დაძლევაში.

სიმძლავრეების სრულ ამოქმედებასა და გამართულ მუშაობაში ძალიან გვიშლის ხელს როგორც ენერგეტიკული კრიზისი, ისე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის საოცარი სიძვირეც, რაც, თავის მხრივ, საოცრად ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. მაგრამ როგორც კი პროდუქციის სიჭარბე წარმოიქმნება (და იმედი გვაქვს, რომ ასე იქნება), ნაწარმის ფასებიც, ალბათ, დარეგულირდება და შემცირდება. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენს „გაჭირვებულ“ თანამემამულეებს რაც შეიძლება მეტი მეფრინველეობის ნაწარმი მივაწოდოთ და ნაწილობრივ მაინც შევუმსუბუქოთ მდგომარეობა.

ასევე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ფაბრიკების დაუტვირთაობის მთავარი მიზეზი მაინც ისევ და ისევ გარეკავშირების უქონლობაა, რადგან ვერ ვახერხებთ გადარიცხვებს ეკონომიკური ბლოკადის გამო. თუ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან და, განსაკუთრებით, რუსეთთან ნორმალურ ეკონომიკურ კავშირებს დავამყარებთ, ჩვენს დარგსაც ეშველება...

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ჯერ კიდევ ივნისში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა ბრძანება საქართველოს რესპუბლიკაში მეფრინველეობის აღორძინების თაობაზე. რა შედეგები მოჰყვა ამ მიზანდასახულობას?

— ხორციელდება დარგის კრიზისიდან გამოსვლისა და მისი შემდგომი აღმავლობის პროგრამა. ამისათვის ყურადღება გადავიტანეთ სანაშენე საქმის ორგანიზაციაზე. სანაშენე რეპროდუქტორების საქმიანობის დახვეწაზე, რომლის საფუძველიც მათი ურთიერთქმედების აღდგენაა.

— მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილი ამბობს, თითქოს ეს სინამდვილეს არ შეეფერება, რომ ჩვენი მეფრინველეობის ფაბრიკები კვლავ ცარიელია.

— ალბათ ამიტომაც გუშინ, 4 აგვისტოს ამ [illegible] დაინტერესდა [illegible] პარლამენტის აგრარ[illegible] კომისიის თავმჯდომარე [illegible] ლიპარტელიანი და [illegible] წევრი რობიზონ [illegible]ლაძემ. ერთად დავათვალიერეთ გამარჯვების საბროილერო კომბინატის საწარმო, სადაც დღეისათვის იზრდება სხვადასხვა ასაკის 700 ათასი ფრთა ბროილერი. ფრინველების მდგომარეობა საიმედოა და ყველა პირობა არსებობს პროდუქციის მისაღებად. ადგილზე დათვალიერებისას დავრწმუნდით, რომ კვლავ მწვავედ დგას კომბინირებული საკვების ხარისხის საკითხი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სასურველი წონამატის მიღება. იმისათვის, რომ დასახული პროგრამა განხორციელდეს საჭიროა კვლავაც გავაგრძელოთ საქმიანი ურთიერთობები რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის წამყვან სანაშენე მეფრინველეობის ფაბრიკებთან. ეს აუცილებელია მეფრინველეობის დარგის აღორძინებისათვის, არადა, სწორედ მისი აღორძინებით შეიძლება მოკლე დროში უზრუნველვყოთ მოსახლეობა მეფრინველეობის პროდუქტებით. როგორც უკვე ვთქვი, 25 აგვისტოდან დაიწყება ფრინველის გეგმიური დაკვლები და მოსახლეობას ყოველდღიურად მივაწვდით 10-15 ტონა ფრინველის ხორცს, დღეს დიდი ნაბიჯი იქნება. ეს, რა თქმა უნდა, კარგად აქვს გათავისებული აგრარული კომისიის თავმჯდომარეს, როინ ლიპარტელიანს, რომელმაც აღგვითქვა დარგისადმი თანადგომა და მის წინაშე წამოჭრილი პრობლემის დროული გადაწყვეტა.

ესაუბრნენ
ნაზი იმნაიშვილი.
როლანდ ბასილაშვილი.



ფირმა «PrintShop»
უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგია!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის
ბეჭდებსა და შტამპებს
თბილისი. ყირხალაძის ქ. № 8
ტელ.: 998696, 997712

საზოგადოება «ქსენონი»
თბილისის უნივერსიტეტი «გეორგია»
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. ისტორია, ეთნოგრაფია და არქეოლოგია; 3. უცხოური ენები: ა) ინგლისური, ბ) გერმანული, გ) ინგლისურ-თურქული, დ) გერმანულ-თურქული (ქართული და რუსული სექტორები).4. მშენებლობა განსაკუთრებულ პირობებში: ა) საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობა (ამზადებს დამანგრეველი ძალის მიწისძვრებისადმი მედეგი საინჟინრო ნაგებობების თეო[illegible] პროექტირებისა და პრაქტიკის მშენებელ სპეციალისტებს. შესაბამისად სწავლება 6 და 4 წლიანია. ამ დარგის ინჟინრების სპეციალური მომზადება წარმოებს პირველად, ამიტომაც სასწავლო გეგმები და პროგრამები განსხვავებულია, არასეისმომედეგი მშენებლების სპეციალობების გეგმებისა და პროგრამებისაგან).
ბ) მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობა – (ამზადებს მიწისქვეშა გარაჟების, სოფლის მეურნეობის და სხვები პროდუქტების, ჰიდროტექნიკური, სატრანსპორტო, სხვადასხვა კომუნიკაციების საინჟინრო ნაგებობათა დამპროექტებელ და მშენებელ სპეციალისტებს, სწავლა 6 და 4 წლიანია).

ზემოაღნიშნული კვალიფიკაციის ინჟინრებს შეუძლიათ ანალოგიური მიწისქვეშა და წყალქვეშა ნაგებობების პროექტირება და მშენებლობა.
უნივერსიტეტი დაარსდა 1991 წელს. სადაც მოღვაწეობს 40 დოქტორი და პროფესორი, 60 დოცენტი. სწავლება ყველა სპეციალობაზე 5 წლიანია. წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას.
სწავლება ფასიანია, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.
უნივერსიტეტში ჩარიცხვა მოხდება სპეციალურ საგნებში გასაუბრებით.
საბუთები მიიღება 25 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 16 საათამდე. გასაუბრება დაიწყება 7 სექტემბრიდან, გრაფიკის მიხედვით. ჩარიცხვა მოხდება სწავლების გადასახადის შემოტანის შემდეგ. არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.
განცხადებას რექტორის სახელზე უნდა დაერთოს: საშუალო ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის ატესტატი ან დიპლომი. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. 6 ფოტოსურათი (3 X4). პასპორტს და სამხედრო ბილეთს წარმოადგენს პირადად.

ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, ე.ჭინჭარაძის №7, სამთო მექანიკის სამეცნიერო ინსტიტუტი, ტელეფონები: 31-58-11, 31-59-11, 31-71-07.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი აცხადებს 1993-94 სასწავლო წლის აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია — 9 კლასის ბაზა, დღის განყოფილება.
2. სართავი წარმოება — 9 კლასის ბაზა, დღის განყოფილება.
3. ეკონომიკა და დაგეგმვა სახალხო მეურნეობის დარგებში საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა) — 11 კლასის ბაზა, დღისა და საღამოს განყოფილებები.
4. ნატურალური აბრეშუმის პირველადი დამუშავება — 11 კლასის ბაზა, დღის განყოფილება.
5. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება — 11 კლასის ბაზა, დღისა და საღამოს განყოფილებები.
6. ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ტექნოლოგია — 11 კლასის ბაზა, დღისა და საღამოს განყოფილებები.
7. სამკერვალო წარმოების ტექნოლოგია — 11 კლასის ბაზა, დღისა და საღამოს განყოფილებები.
8. ტყავის ნაკეთობათა ფეხსაცმლის) წარმოება — 11 კლასის ბაზა, დღისა და საღამოს განყოფილებები.
9. ტანსაცმლის მოდელირება და კონსტრუირება — 11 კლასის ბაზა, დღისა და საღამოს განყოფილება.
მისაღები გამოცდები ჩატარდება მათემატიკაში ზეპირი).
ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერა).
აბიტურიენტმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი საბუთები:
1. განათლების დოკუმენტის დედანი
2. სამედიცინო ცნობა ფორმა №086).
3. 6 ფოტოსურათი.
პასპორტს ან სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.
განცხადებები მიიღება 1993 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით ყოველდღე, გარდა კვირისა, დილის 10 საათიდან 16 საათამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 1993 წლის 16 აგვისტოდან.
მისამართი: თბილისი გლდანის დასახლება), ქერჩის 6, ტრანსპორტი მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი“. ტელეფონები: 67-39-46, 67-23-29.
ჩარიცხულები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით 3000-დან 3500 მანეთამდე და საერთო საცხოვრებელ-სასტუმროთი.
ქ.თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობაზე:
1. ქიმიურ-ფარმაცევტული წარმოების ფართო პროფილის მეაპარატე
2. ქიმიური ანალიზის ლაბორანტი
სასწავლებელში გასაუბრებით ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები. სწავლების პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას თვეში 2300 მანეთს. სწავლება უფასოა.
სასწავლებლის კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილდებიან: თბილისის, ბათუმისა და ახმეტის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხნებში, ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტში და ბიოქიმიის ინსტიტუტში.

საბუთები მიიღება ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, გარდა კვირისა. ჩვენი მისამართია: თორნიკე ერისთავის ქ. №2-ა, მე-4 სართული ყოფილი მაგნიტოგორსკის ქუჩა) მეტრო დიდუბესთან,
ტელეფონი: 34-71-29.

სასწავლებლის დირექცია

პრობლემა, რომელიც ერთი ქვეყნის ფარგლებში ვერ გადაიჭრება

თანამედროვე მსოფლიო ერთ-ერთ გლობალურ პრობლემათა შორის განიხილავს ეკოლოგიას მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქვეპრობლემით. წინამდებარე სტატიის თემა კონკრეტულია — ტექნოსფერო და ეკოლოგია, მათი ურთიერთდამოკიდებულება, პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება.

თანამედროვეობის სხვადასხვაგვარი ევოლუციური თეორია შეიძლება დაიყოს ორ არასიმეტრიულ ჯგუფად. 1. ადამიანი, ეს არის მიწის ევოლუციური პროცესის ნაწარმი და 2. ადამიანი არამიწიერი წარმოშობის მოვლენაა.

ორივე შემთხვევაში უდავოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ ადამიანი ბიოსისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. თუმცა, სისტემის სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით იგი მიზანმიმართულად მოქმედებს მასზე თავისი მატერიალური და სოციალურ-ზნეობრივი მოთხოვნილებების შესატყვისად. ადამიანური სახის ცხოველმყოფელობის ეს ფუნდამენტური განსაკუთრებულობა გლობალურია პლანეტაზე მისი უნიკალური განსახლების გამო, რასაც, აგრეთვე, ვერ შეედრება ცხოველური და მცენარეული სამყაროს ვერც ერთი სახეობა.

აქედან გამომდინარე, მთელი სისტემისა და ადამიანის ურთიერთზეგავლენა არის არა მარტო გლობალური, არამედ, საერთოდ, კაცობრიობის პირველი რიგის ამოცანა. ბუნებრივია, ეს ურთიერთგავლენა ეხება ადამიანთა საზოგადოებისა და ცალკეული ინდივიდის მოქმედების აბსოლუტურად ყველა სფეროს.

ამიტომ, ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული შეხედულება ეკოლოგიაზე, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე, უაღრესად ზერელეა. ეს შეიძლება აიხსნას სხვადასხვა მიზეზით. თუმცა პირველ რიგში, მკაფიო მეთოდოლოგიური მიდგომის არარსებობა გვაიძულებს, სავსებით ახალ გლობალურ სამეცნიერო დისციპლინას მივუყენოთ უკვე არსებული მეთოდოლოგიური, და როგორც უფრო მეტად აპრობირებული, — საბუნებისმეტყველო სქემები. ამასთან, ნათელია, რომ ეკოსისტემის ზემოქმედება, მაგალითად, ეროვნული ხასიათის ცვლილებების პროცესზე, ამ მეთოდოლოგიური სქემებით ვერ აიხსნება.

იმისათვის, რომ გამომუშავდეს ამ ზეამოცანისადმი სწორი მიდგომა, აუცილებელია მთელი იმ ცოდნის გამოყენება, რომელიც კაცობრიობას დაუგროვებია. ამიტომ არ შეიძლება ეკოლოგია იყოს ცალკეული დისციპლინების შესწავლის საგანი თანამიმდევრული უსისტემო მეცნიერული მონაცემების ზერელე მეთოდოლოგიური გაერთიანებით, რომელთა უტყუარობა თავისთავად, ეჭვგარეშეა.

საუბარი საერთო სისტემისა და ადამიანის ზემოქმედების დისბალანსი ადამიანთა საზოგადოების თანამდევია შრომის იარაღების გამოყენებისა და აგროკულტურის შექმნის მომენტიდან, რაც, თავისთავად, უდიდესი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. დაახლოებით 6 ათასი წლის წინათ ადამიანმა აღმართა ქვემო ნილოსის ჯებირები, ხოლო მაგალითად ასუანის წყალსაცავი, რომელმაც დატბორა დაახლოებით 5 ათასი კვადრატული მილი, პროცესის მხოლოდ ლოგიკური გაგრძელებაა. თუმცა, თუ 1285 წელს ლონდონი ააფორიაქა ტვიფის (ე. წ. სმოგის) პირველმა ნიშნებმა, დღეს საწვავის გამოყენება უკვე მთლიანად ცვლის გლობალური ატმოსფეროს ქიმიურ საფუძველს. ეს უკვე ზოგადსაკაცობრიო კატასტროფის მაცნეა.

საერთო სისტემის საკუთარი მიზნებისათვის ფართოდ გამოყენების იარაღად კაცობრიობამ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია აქცია, რომელმაც ამ სისტემაში შექმნა ახალი, აბსოლუტურად არაადეკვატური ნაწილი — ტექნოსფერო. და თუ აღნიშნული რევოლუცია საზოგადოებას ემსახურებოდა უეჭველი სიკეთით, ტექნოსფერომ ყველანი მძევლებად გვაქცია.

ამ ასპექტით ტექნოსფერო ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედს გვაგონებს და ამ პროცესში მეთოდოლოგიურად სწორად ჩაურევლად დამღუპველი შედეგი გარდაუვალია.

სწორი მეთოდოლოგიის გამომუშავება შეუძლებელია ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მეცნიერთა ჯგუფის ძალებით. ასევე შეუძლებელია ეს დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში. საკითხის გლობალურობა და მისი მნიშვნელობა განსაზღვრავს ამ ამოცანის გადაწყვეტის უდიდეს სირთულესაც.

პრობლემის გადაწყვეტა, უდავოდ, ადამიანური გონის უზარმაზარი გამარჯვება იქნება. დღეისათვის აპრიორული გახლავთ ფაქტი, რომ ეკოლოგია საზოგადოების კულტურის ნაწილი კი არ არის, არამედ უპირისპირდება მის ძირითად სოციალურ-სამომხმარებლო შრეებს, რომლებიც მიმართულია მრავალი პრაქტიკული საკითხის გადასაწყვეტად. გადავაქციოთ ეკოლოგია სამომხმარებლო კულტურის ნაწილად — აი, რით არის დაკავებული დღევანდელი მეცნიერება. იდგმება ფილტრები, იცვლება აგროქიმიური მოთხოვნილებები, მკაცრდება სანიტარიული ნორმები და ასე შემდეგ. თუმცა, ეს წაგავს ეკოსისტემის [illegible] ქვემდებარებას კულტურის პრაქტიკული შრეებისადმი მაშინ, როცა კულტურა უნდა იქცეს ამ ზეამოცანის ნაწილად.

ეკოლოგია და კულტურა

ამასთან, ბუნებრივი რესურსების აბსოლუტურად ეკოლოგიურად გამართლებული გამოყენება მათი მუდმივი გამოყენების გარანტიას არ იძლევა. ერთი პოსტულატი: „როცა მინდა, მაშინ ვიღებ“, უნდა შეიცვალოს მეორით — „ვიღებ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია“. საერთო სისტემაში შეჭრის უკიდურესი საჭიროების განსაზღვრა მინიმალურად მავნე ეფექტით, როგორც ჩანს, კაცობრიობის ძირითადი მეთოდოლოგიური ამოცანაა. უკიდურესი საჭიროების განსაზღვრა ზნეობრივი ამოცანაა, რაც მსოფლიო ეკონომიკის, როგორც ერთი მთლიანის, გაუაზრებლად პრაქტიკულად განუხორციელებელია. მაღალგანვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიდგომა ამ საკითხისადმი სხვადასხვაგვარია. გარდა ამისა, შეინიშნება ორი პოლუსის: ტექნოსფეროსა და ეკოლოგიის გაერთიანების სერიოზული მცდელობა. ასეთი წამბაძველობის დამღუპველობაც ნათელია. მეორე მხრივ, თუმცაღა იმართება საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები, თითოეული ქვეყანა ცდილობს გაიუვნებლოს თავი ეკოკრიზისისაგან საკუთარი პროგრამებით. საკითხის გლობალურობა კი ასეთ მიდგომასაც ჩიხში ამწყვდევს. ეკოსისტემები არ განისაზღვრება სახელმწიფოებრივი საზღვრებით, თუმცა, პრაქტიკულად, გავლენას ახდენს როგორც მთელი საზოგადოების, ასევე ცალკეული ინდივიდის ცხოველმოქმედებაზე.

ისტორიული ანალიზი ყველაფრისა, რაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საფუძვლად იქცა, საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ეკოკრიზისის ეტაპებს, განისაზღვროს მისი წარმოშობის აქტიური კერები, გავრცელების გზები და ასე შემდეგ. და ეს მეტად მნიშვნელოვანია მოცემული პროცესის გააზრებისათვის. თუმცა, დღეისათვის იმის მიუხედავად, რომ თავად მონაწილეობს გლობალური კრიზისის წარმოქმნაში, ხალხები, სახელმწიფოები, საზოგადოება, Homo sapiens-ის სახეობა საკუთარი პირმშოს მძევალია, იმ პირმშოსი, რომელიც უსასტიკეს მონსტრად გადაიქცა. ეს მონსტრი ჩვენი კულტურის დიდი ნაწილია და მხოლოდ საერთო ძალისხმევასა და სერიოზულ მსხვერპლს ძალუძს შეაჩეროს იგი. თუმცა მდგომარეობა ასე მძიმე სამომხმარებლო ცნობიერება ადამიანს აიძულებს, ივაჭროს და პრაქტიკული გამორჩენა ეძიოს ამაშიც კი. დღეს პასუხი კითხვაზე — შესაძლებელია თუ არა მთლიანად გამოირიცხოს ადამიანის უარყოფითი ზემოქმედება საერთო სისტემაზე — ერთმნიშვნელოვანია. ამოცანა სხვა რამეა — აუცილებელია განისაზღვროს, საჭიროა თუ არა მსხვერპლი, რომ შემსუბუქდეს ეს ზეგავლენა, თუკი მაინცდამაინც მსხვერპლშეწირვის სახით უნდა განხორციელდეს ადამიანის ცხოველმოქმედების პროცესის კარდინალური სახეცვლილება. პასუხი შეიძლება მოიძებნოს თითქმის ყველა საერთაშორისო კონფერენციის მასალებში. მაგრამ აღნიშნული მასალები ითვალისწინებს კონტროლის სისტემის სრულყოფას, გარკვეულ ტექნოლოგიებზე, უარის თქმას, დაზიანებული ბიოსისტემების აღდგენას და სხვა, სწორი მეთოდოლოგიური პლატფორმის გარეშე, რაც აბსოლუტურად მიუღებელია. თუმცა, მკაცრი კონტროლის, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის აუცილებლობას, უმრავლესობა კარგად იცნობიერებს. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია გამოვთქვათ შემდეგი ჰიპოთეზა: დღეს შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ტექნოსფერო იქცა თვითრეგულირებად სისტემად საერთო სისტემის შიგნით, მოვიტანოთ შემდეგი მაგალითი: ინდუსტრიალიზაციამ შედეგად მოიტანა ურბანიზაციის პროცესი. როდესაც ამ დონემ კრიტიკულს მიაღწია, შექმნა საშიშროება ქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას. საკითხი გადაიჭრა ტექნოსფეროს ადეკვატური საშუალებით ანუ ინტელექტუალური და ტექნიკური პოტენციალის გამოყენებით სოფლის მეურნეობაში — ტექნიკის გამოყენება, ქიმიური მრეწველობის „დასაქმება“ და საფრთხე ლიკვიდირებულ იქნა. მაგრამ, ტექნოსფეროსა და ბიოსფეროს დაპირისპირების ხარისხი ამის გამო მკვეთრად ამაღლდა, რამაც, ბუნებრივია, გააღრმავა ეკოლოგიური კრიზისი.

ამასთან, საერთო სისტემაში შეჭრის უკიდურესი აუცილებლობის განსაზღვრის თეზისი არაერთგვაროვნად გაიგება ისევე, როგორც თვით ამ აუცილებლობის განსაზღვრება. ამ კრიტერიუმის გაგების ერთიანი სისტემის გამოუმუშავებლად შემდგომი გამოკვლევები პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის მისაღწევად აუცილებელია არა მარტო ცალკეული საზოგადოებისა და ინდივიდის, არამედ მთელი კაცობრიობის სულიერი კულტურა და ინტელექტუალური პოტენციალი.

გელა ღლიღვაშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი.

[illegible]

ᲘᲑᲔᲠᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲓᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. როგორც საინფორმაციო სააგენტო „იბერიას“ კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აჩბამ განაცხადა, რომ იგი არ უჭერს მხარს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული იქნება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა.

„მე ხშირად ვსაყვედურობ ქართველებს, რომ მათ არძინბა აქციეს აფხაზი ხალხის ლიდერად, მაშინ, როდესაც ომამდე მას ბევრი მხარს არ უჭერდა. დღეს, სანამ ომი საბოლოოდ არ ჩამცხრალა, მე და არძინბა ბარიკადის ერთ მხარეს ვდგავართ, მაგრამ, როგორც კი მშვიდობა დამყარდება, თითოეული ჩვენგანი თავის პოზიციას დაიცავს მათ შორის საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით“, — განაცხადა ზურაბ აჩბამ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. „იბერიას“ კორესპონდენტის ცნობით, ზუგდიდ-თბილისის საავტომობილო ტრასას აკონტროლებენ ექს-პრეზიდენტის მომხრე ეროვნული გვარდიის ნაწილები.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. როგორც „იბერიას“ კორესპონდენტს აცნობეს ექს-პრეზიდენტის მომხრე ეროვნული გვარდიის სამმართველოდან, 3 აგვისტოს ხობში, „მხედრიონის“ წევრებმა დააკავეს ვახტანგ ქობალიას დისწული სოხუმელი მერაბ პაპასკირი. იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერია.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. 4 აგვისტოს გუდაუთის რადიომ გადასცა ინტერვიუ კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის ჯარების შტაბის უფროსთან, ამინ ზეხოვთან.

ზეხოვმა განაცხადა, რომ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ჯარები, აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების თანახმად, 10-15 დღის განმავლობაში დატოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას იმ შემთხვევაში, თუ ქართველთა მხარეც გაიყვანს თავის ჯარებს.

ზეხოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედრო შენაერთებმა უკვე დატოვეს კონფლიქტის ზონა, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას არ გააჩნია ჯარების გამოყვანის ზუსტი გრაფიკი, ფორმირებები, ცალკეული სამხედრო შენაერთების მზადყოფნის შესაბამისად, თანდათანობით დატოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. „იბერიას“ კორესპონდენტს თბილისის მერიის პრეს-სამსახურიდან აცნობეს, რომ დღეს შედგა ეკონომიკური რეფორმის კომისიის სხდომა. ბაკურ გულუას პარლამენტში გადასვლასთან დაკავშირებით, ეკონომიკური რეფორმის კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ეკონომიკური სამმართველოს უფროსი გურამ დავლიანიძე.

სხდომაზე ისაუბრეს სახალხო მოხმარების, სამრეწველო და სასურსათო საქონელზე ფასნამატების მიყენების სისწორის შემოწმების შედეგებზე.

კომისიამ შეამოწმა სხვადასხვა სამრეწველო ჯგუფის საქონლით მოვაჭრე 25 მაღაზია, გამოვლინდა ფასნამატების სწორად მიყენების 8 და ფასების არასწორად მიყენების 5 შემთხვევა. ძირითადად, საქონელზე ფასნამატები მერყეობს 5-დან 25 პროცენტამდე.

სხდომაზე გადაწყდა: ეკონომიკის სამინისტრომ განიხილოს ფასნამატების სრული ოდენობით დაწესება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელსაც, საბოლოოდ დაამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲖᲔ...

ᲒᲣᲨᲘᲜ, დილის 9 საათზე თბილისის მუხიანის ბაზრობას 30-მდე შეიარაღებული სამხედრო ფორმიანი პირი დაესხა. სროლის ხმით დამფრთხალი ადამიანები გაიქც-გამოიქცნენ, გამყიდველებმა სავაჭროდ გამოტანილი საქონელი დახლებზე მიატოვეს და თავს უშველეს. თავდამსხმელებიც სწორედ ამას ელოდნენ. რამდენიმე წუთში გასაყიდი თუ უკვე გაყიდული ნივთები იქვე მდგომ ავტობუსში ჩატვირთეს და მიიმალნენ. თუმცა ბაზრობას თავისი შეიარაღებული დაცვა ჰყავს, მაგრამ ისინი მხოლოდ თავდამსხმელთა წასვლის შემდგომ გამოჩნდნენ. შესაძლოა, მათი ეს მოქმედება გონივრულიც იყო — შეტაკების შემთხვევაში, ალბათ, უდანაშაულო ხალხის სისხლიც დაიღვრებოდა.

მომხდარის კომენტარი ვთხოვეთ მუხიანის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსს ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲜᲘᲫᲔᲡ:

— ასეთი რამ მუხიანის ბაზრობაზე პირველად არ ხდება. ამას წინათ ტანკითაც კი შეიჭრნენ ბაზრობაზე [illegible] საქონელი [illegible] პოლიციამ მოიძია [illegible] მასალები, დაადგინა დამნაშავეები. საქმე შემდგომი ძიებისთვის სამხედრო პროკურატურას [illegible] გადავუგზავნეთ. დღევანდელ ფაქტთან დაკავშირებით არიან ეჭვმიტანილები. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია. მიმდინარეობს ძიება, რაც ამის [illegible] ნებას გვაძლევს, რომ ბოროტმოქმედებს მოკლე ხანში გამოვავლენთ. საქმე გადავცემთ სამხედრო პროკურატურას...

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲑᲣᲠᲓᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

ᲝᲛᲐᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

ᲒᲐᲮᲚᲔᲩᲘᲚᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ

ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲠᲝᲛᲐᲜᲖᲔ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲖᲔ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ

„ᲒᲐᲮᲚᲔᲩᲘᲚᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ“ — ასე ეწოდება ქართველი მკითხველისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ, თუმცა უკვე ჭეშმარიტი რომანისტის ომარ ჩხეიძის წიგნს. რომანის სათაურმა, სამწუხაროდ და საუბედუროდაც, იოლად შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ იგი თანამედროვე ცხოვრებაზეა დაწერილი, რადგან ჩვენი რწმენა დღეს არამარტო გახლეჩილი, დაქუცმაცებულიც კია. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. რომანი ისტორიული ხასიათისაა და მესხეთის ტრაგიკულ წლებს ეძღვნება. ბარემ აქვე დავსძენ, რომ ავტორი თავისი წარმოშობით და მოღვაწეობითაც იმ მხარისაა, მესხია, რაც მასალის ცოდნასთან ერთად მისი ინტერპრეტაციის გულმხურვალებასაც აათკეცებს.

რომანში მკითხველის თვალწინ მთელი თაობების ცხოვრება მიედინება, სავსე უსამართლობით, რბევით, ღალატით, დაუნდობლობით, ტრაგიზმით, და მაინც, ასევე სავსე სამშობლოს სიყვარულით, ერთგულებით, სიკეთითა და თანადგომით, თავგანწირვით, იმედით. ესაა, ასე ვთქვათ, ტრადიციული სახისა და ხასიათის რომანი, სადაც მხატვრულადაა მოთხრობილი, ასეც შეიძლება ითქვას — გაცოცხლებული ჩვენი ისტორიის ის მონაკვეთი, როცა თურქთა მიერ დაპყრობილი მესხეთის ტერიტორიაზე გარეში მტრის თუ შინაური გამცემლების ძალადობითა და ვერაგობით ადგილობრივ მკვიდრთა, ქრისტიანული აღმსარებლობის მოსახლეობის გამაჰმადიანება და ამ გზით მიტაცებული ქართული მიწების დასაკუთრება-განმტკიცება ხდებოდა.

რომანში მოქმედება ძირითადად მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ათწლეულებში იშლება, თუმცა თემის გასახსნელად ეს ქრონოლოგიური ჩარჩო ვერც იკმარებდა და არც იკმარა ავტორმა. რომანისტი მხატვრული თხრობის მეშვეობით საფუძვლიანად გვაცნობს და გვიხსნის საქართველოს ამ ძირძველი მხარის ტრაგიკულ ისტორიას, რაც უშუალოდ ნაწარმოებში წარმოსახული ეპოქიდან ბევრად შორს და ადრე იღებს სათავეს. როცა თურქებმა მესხეთი დაიპყრეს, აქ მოსახლეთაგან აბსოლუტური უმრავლესობა (95 %) ქართველი იყო. ეს უცილობლად ცნობილია გახლავთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“. მხოლოდ ამის შემდეგ გაჩნდნენ აქ ქურთები, თურქმანები, ხიმშილები და სხვები, ზოგნი — შაჰ-აბასის დროს კახეთში ჩასახლებული ტომები თანდათანობით, ბორჩალოსა და წალკის გავლით გადმობარგდნენ მესხეთში, ზოგნი — ბორჩალოელი თათრები თუ სომხები ერეკლეს დროს და რუსთა ხელშეწყობით დამკვიდრდნენ. მაგრამ ეგრეთ წოდებულ თურქთა უმრავლესობა მაინც რჯულ და გვარგამოცვლილი ქართველები იყვნენ.

დამპყრობლებმა ძალასთან ერთად ხერხიც იხმარეს და თავიდანვე დაიწყეს მოსახლეობის გამაჰმადიანება. ბუნებით მოღალატენი თავად მიეახლნენ და დამორჩილდნენ, იოლად დამყოლნი მუშტის ჩვენებით გადაიბირეს, სულით მტკიცეების მიმართ კი სოციალური და ეკონომიკური დაწოლა არჩიეს. გამაჰმადიანებული ქართველებისაგან განსხვავებით ქრისტიანებს ულმობელი გადასახადები შეაწერეს (ოცდაათამდე სახისა) და თუ ვინმეს ამისაგან თავის დაღწევა სურდა, რჯული უნდა შეეცვალა. ამგვარი ხერხებითა და მეთოდებით ოსმალებმა მნიშვნელოვანწილად მიაღწიეს მიზანს. ზოგი უმალ, უყოყმანოდ გამაჰმადიანდა, ზოგი დროთა ვითარებამ გატეხა, ზოგმა კი ყველაფერს გაუძლო და ბოლომდე შეინარჩუნა რწმენა.

ყოველივე ეს რომანში ისტორიული სიმართლითაა გადმოცემული, რაკი ავტორი თანაბარი გულისყურით ეკიდება მეცნიერულ შრომებსაც, ისტორიულ პირველწყაროებსაც, ფოლკლორსაც, უშუალოდ მის მიერ მოძიებულ მასალებსაც, რაც შუა აზიაში, ჩრდილოკავკასიაში თუ დღევანდელ „თურქ-მესხთა“ საცხოვრებელ სხვა ადგილებში საგანგებოდ საამისოდ ყოფნის დროს მოიპოვა.

რომანი დიდი ინტერესით იკითხება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მნიშვნელოვანი და მტკივნეული ისტორიული ეპოქაა წარმოსახული, არამედ იმიტომაც, რომ ეს ისტორიული მასალა და მისდამი ავტორისეული დამოკიდებულება, ანუ თანამედროვე ხედვა არსად შიშვლად არა ჩანს, მხატვრულ ქსოვილშია განფენილი. აქ უხვადაა გმირთა თუ პერსონაჟთა მხატვრული ბიოგრაფიები, განსხვავებული პიროვნ[illegible]ბი, რომ[illegible]ებითაც, ურთიერთშებღლითაც ივსება სათქმელი. აქაა რომანისათვის აუცილებელი სასიყვარულო ინტრიგებიც და სხვა მრავალი აქსესუარიც. მაგრამ ეს ყველაფერი ავტორის მიერ მხოლოდ იმისათვის არის მოხმობილი და შეთხზული, რომ „ცოცხალ სურათებში“ იმ დროის ვითარება და სულისკვეთება გადაგვიხსნას. შეთხზულით, რომ ვთქვი, ცხადია ეს ყველაფერი მწერლისეულია, მისი ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა ბევრი რამ ისტორიულად უტყუარი ფაქტებისა ნაწარმოების სიუჟეტურ ღერძზე ოსტატურად არის ასხმული დეტალების სახით და ორგანულად ერწყმის საერთო მხატვრულ სხეულს. მხედველობაში მაქვს მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული პირების — მწერლების, პოლიტიკოსების თუ ლეგენდარული გმირების შემოყვანა რომანში, მოყოლებული გრიგოლ ორბელიანიდან ვიდრე არსენა ოძელაშვილამდე.

რომანში (თუმცა უმთავრესად საქართველოში თურქთა პოლიტიკას ეძღვნება) ისეთი ეპოქაა ფონად აღებული, როცა ამიერკავკასიაში რუსეთის ინტერესებიც აშკარა ხდება და ბევრწილად განხორციელებულიც კია, რასაც მოსდევს რუსეთ-ოსმალეთის ისტორიული ომი და რამაც კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში ჩააყენა ისედაც გაწამებულ-გატანჯული ქვეყანა, ცეცხლითა და მახვილით დაუპირისპირა ერთმანეთს რწმენაგახლეჩილი საქართველოს ორთავე მხარე. საქართველოსათვის ზრუნვის მარტივ და გამჭვირვალე ნიღაბქვეშ სამხრეთელი თუ ჩრდილოელი მეზობლების მსგავსი მიზნები და მიზნის მიღწევის ასევე მსგავსი მეთოდები ჩანს თვალნათლივ. ორთავე მხარეს თავისთვის უნდოდა საქართველო იმ მცირე განსხვავებით, რომ ოსმალეთს გამაჰმადიანებული ქართველებით სურდა მესხეთის შემომტკიცება, რუსეთს კი ამ მხრიდან ქართველების გასახლებით და მათ ნაცვლად კაზაკების, სომხების, ძველმორწმუნე რუსებისა და სხვათა ჩამოსახლებით. ერთმაც და მეორემაც რომ მიაღწიეს ამ მიზანს, ამაში, ეს ცნობილია და რომანშიც ცოცხლად არის ნაჩვენები, ჩვენს წინაპრებსაც მიუძღვით ბრალი იმით, რომ ხშირად საკუთარს და პიროვნულს ქვეყნის ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. ეს ტრაგიკული ვითარება დიდი ემოციური მუხტითა და ისტორიული სიმართლით მოაქვს ჩვენამდე ავტორს.

ავტორი მთელი რომანის მანძილზე თითქოს ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს ამ ტრაგიკული თხრობის დროს, დაპირისპირებულ ძალთა დავაში თითქოს არ ერევა და თავის თვალსაზრისს არ გვიმხელს, თითქოს გახლეჩილი რწმენის მატარებელი არც ერთი მხარის მოსაზრებებს არ ითავისებს, მაგრამ სინამდვილე სხვაა. ეს მხოლოდ თითქოს არის ასე, ფაქტიურად კი მწერალი ჩვენდა შეუმჩნევლად, შესაშური მხატვრული ოსტატობით და ტაქტით საკუთარ პოზიციას არამცთუ დებს ნაწარმოებში, არამედ ჩვენც მტკიცედ, თუმცა ძალდაუტანებლად ჩაგვაგონებს. მთელი რომანის მანძილზე მკითხველი ვერც კი ხედავს, მაგრამ გამუდმებით გრძნობს, რომ ისტორიულ ექსკურსში მას გულმხურვალე პატრიოტი ჰყავს მეგზურად.

სამწუხაროდ, სიტყვა პატრიოტმა მწარე სათქმელი მიკარნახა. ქართული მწერლობა, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, მეტწილად პატრიოტულ სულისკვეთებას ზეაწეული ტონით და პათეტიკით, გმირული ეპიზოდების მოხმობითა და შეთხზვით უნერგავდა მკითხველს. ამან ეროვნული სიამაყის გაღვივებასთან ერთად, რაც უთუოდ საჭირო და კარგიცაა, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი და დამოუკიდებლობისათვის გამუდმებით მებრძოლი ერისათვის, ერთგვარად ხელი შეუწყო ქართველთა ნაწილში ეროვნული განსაკუთრებულობის, გამორჩეულობის მოსაზრების ჩანერგვას. ამან სიამაყე ამპარტავნობაში გადაზარდა. მოვლენების ცალმხრივად აღქმამ, საღად აზროვნების უნარის დაქვეითებამ, საკუთარი ნაკლის დაუნახაობამ თუ წაყრუებამ ბევრწილად განაპირობა ქართულ ხასიათში (დიახ, სწორედ ხასიათში განზოგადდა ეს) ნაკლისა და მანკიერების მომრავლებაც და გაღრმავებაც.

„გახლეჩილი რწმენა“, ვფიქრობ, იმითაც არის შესანიშნავი, რომ ჭეშმარიტი პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული, რაც ბანგივით ტკბილად კი არ გვათრობს, არამედ მართლაც მიგვანიშნებს ჩვენს ძლიერ თუ სუსტ მხარეებზე, ჩვენს სწორ თუ მრუდ გეზზე, ჩვენს წარმატებულ თუ მცდარ ნაბიჯებზე და ფხიზელი გონებითა და მოსიყვარულე გულით სწორი არჩევანის გაკეთებისაკენ მოგვიწოდებს.

ისტორიული ნაწარმოებები, ლიტერატურული იქნება, თუ სხვა სახისა, ჩვეულებრივ, თანამედროვე ცხოვრების პრობლემებით არის ნაკარნახევ-ნასაზრდოები. „გახლეჩილი რწმენაც“ იმგვარი რომანია, სადაც, მიუხედავად მთელი მისი ფაქტურის ისტორიულობისა, ჩვენი დღევანდელი ერთ-ერთი მძიმე სატკივარი და საზრუნავია მინიშნებული. ესაა ეგრეთ წოდებული „თურქ-მესხების“ პრობლემა, რაც სათავეს სწორედაც ამ რომანში აღწერილი ეპოქიდან იღებს, რაც სულის იარად დღემდე შემოგვრჩენია და ვინ იცის როდის განკურნება. მეც ვიხმარე ეს გავრცელებული და დამკვიდრებული ტერმინი „თურქ-მესხი“, თუმცა მისი აბსურდულობა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. სად გაგონილა, კაცს ორი ეროვნება გააჩნდეს და თუ მაინც ასე მოიხსენიება იგი, მით უფრო მთელი ჯგუფი და თანაც მრავალათასიანი ჯგუფი ადამიანებისა, ეს უკვე კაცისა თუ ერის ტრაგედიაა და ასეა „თურქ-მესხების“ საქმეც.

დღევანდელი „თურქ-მესხები“, ანუ გუშინდელი ჩვენი თანამოძმენი ტრაგიკულმა ვითარებამ, გახლეჩილმა რწმენამ დააშორა ერის მთლიან სხეულს. ამ პრობლემის გონივრული და სამართლიანი გადაწყვეტა რაკიღა არ მოხერხდა სხვათა და ჩვენივ მიზეზის გამო, სულ უფრო და უფრო გაღრმავდა ეს დაშორიშორება, იმდენად, რომ დიდი ნაწილი დღეს აღარც თვლის თავს ქართველად, თურქად მიაჩნია თავი და მათი გადარწმუნება შეუძლებელია. მაგრამ ასევე დიდი ნაწილი, თუმც დაკარგული აქვთ ენაც და რჯულიც, თავის ისტორიულ ჩამომავლობას ქართველობას მისტირის და დიდ სამშობლოსთან, ღვიძლ ერთან დაბრუნების და შერწყმის მოსურნეა. ამ ურთულესი პრობლემის მოგვარება უამრავ უძნელეს, შეიძლება ითქვას, გადაულახავ დაბრკოლებათა დაძლევით შეიძლება მხოლოდ. ჩვენი ადამიანური და მამულიშვილური ვალი მოითხოვს არ შევუშინდეთ ამას, არ წავუყრუოთ მოძმეთა სატკივარს, გვესმას მათ სულში ჯერ კიდევ მფეთქავი ქართული გენის ყივილი და მთელი ძალისხმევის მოხმობით თანდათან ჩამოვიცილოთ სხვათა მიერ თუ ჩვენი ბედოვლათობით (მეტი რომ არა ვთქვა) აკიდებული ცოდვა.

დაბოლოს, ვინ იფიქრებდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას (თუნდაც ჯერ მხოლოდ სამართლებრივს) ერის ასეთი გათიშულობა მოჰყვებოდა. ცხადია, გარეშე თუ შინაური მტრული ძალების მიერ არის პროვოცირებული ეს პროცესი, მაგრამ ჩვენივ უგუნურობით ხომ წამოვეგეთ პროვოკაციის ამ შიშველ ანკესს.

ჩვენი გადარჩენა მხოლოდ გამთლიანებულ რწმენას ძალუძს, რწმენას ჩვენი ერთობისა და განუყოფლობისა, ერთი ქვეყნის შვილობისა, სადაც ურთიერთთანადგომობით და მერე ურთიერთსიყვარულითაც კი გამორჩეული იქნებიან ქართველები, აფხაზები, მშობლიურ წიაღში დაბრუნებული მესხები და ყველა სხვა, ვინც საქართველოში სახლობს. აქეთ მოგვიწოდებს ჩვენი ვალი და სინდის-ნამუსი. ამას შეგვახსენებს ომარ ჩხეიძის „გახლეჩილი რწმენა“.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲬᲘᲗᲔᲚᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ უძლიერესი გუნდი — „ლინფილდი“, ავიაკომპანია „ორბის“ თვითმფრინავით, რომში შესვენებით, 15 აგვისტოს მოფრინავს თბილისში დინამოელებთან ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო მატჩის გასამართავად.

ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ღირსეულად ორგანიზაციას მიეძღვნა დედაქალაქის მერიაში გუშინწინ შემდგარი კიდევ ერთი თათბირი, რომელსაც უძღვებოდა ბ-ნი კოტე გაბაშვილი.

როგორც აღინიშნა, ეროვნული სტადიონის განათების მაღალ დონეზე უზრუნველსაყოფად შეხვედრამდე 3 დღით ადრე დასრულდება ყოველგვარი სამონტაჟო სამუშაოები. სათანადო ყურადღება დაეთმობათ ჟურნალისტებს — ქვეყნის მთავარი სპორტული სარბიელის ოსტატთა კლუბში მოეწყობა პრეს-ცენტრი შესაბამისი პროფესიული ატრიბუტებით.

თამაშის ძირითადი სპონსორის — ფირმა „ბანი და კომპანიის“ პრეზიდენტის ბ-ნ ბადრი ნინუას განცხადებით, მის ფირმას 18 აგვისტოს მატჩში კომერციული ინტერესი არა აქვს. მათი სურვილია ხელი შეუწყონ ჩვენს კლუბს ფინანსურ მომძლავრებაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება შეხვედრის შემდგომი ლატარიის ერთი ბილეთის საკმაოდ მაღალი ფასი — 10 დოლარი (50000 ლატარიის ბილეთიდან 20 000 უკვე გაყიდულა!). თუმცა, როგორც გაირკვა, ლატარიის გათამაშება შეიძლება ჩაიშალოს კიდეც სამთავრობო გადასახადის ერთობ დიდი წილის — 32%-ის გამო.

ვფიქრობთ, რესპუბლიკის მთავრობა გაითვალისწინებს კლუბის ინტერესებს და გამონაკლისის სახით გააუქმებს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, საგრძნობლად მაინც შეამცირებს დასახელებული „ბეგარის“ ოდენობას. რაც შეეხება გასათამაშებელ „ნივთებს“, ისინი მართლაც რომ სოლიდურია — 2 ცალი „ჟიგული — ვაზ 09“, 4 ცალი „ვოლგა — გაზ 31“, 2 ცალი „ბმვ“ და 1 ცალი „მერსედესი“.

ჯერჯერობით დაუზუსტებელია მატჩზე დასასწრები 1 ბილეთის ფასი, თუმცა, წინასწარი ცნობით, იგი საშუალოდ 10 000 კუპონი ეღირება. ბილეთების დაახლოებით 10-15% შეღავათიან ფასებში გაიყიდება, ხოლო გარკვეული ნაწილი ომის ინვალიდებისათვის გამოიყოფა. სურვილისამებრ, ორგანიზაციებს შეუძლიათ ბილეთები ჩარიცხვითაც შეიძინონ.

გამოითქვა მოსაზრება, რომ სასტუმრო „აჭარის“ რთული მდგომარეობის გამო ბრიტანელი გუნდის შემატკივრებიც თანამემამულე ფეხბურთელებთან და ოფიციალურ სტუმრებთან ერთად სასტუმრო „მეტეხში“ დაბინავდებიან.

ფეხბურთის მოყვარულებს თათბირის მონაწილეებმა მიმართეს თხოვნით: შესასვლელებში ყოველგვარი გართულების თავიდან ასაცილებლად თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მაინც მივიდნენ სტადიონზე, სადაც მათ შესთავაზებენ ბუტერბროდებს, ხაჭაპურებს, გამაგრილებელ სასმელებს...

კვლავ განსაკუთრებულად იმსჯელეს წესრიგსა და უსაფრთხოების ზომებზე.

მოკლედ, იგრძნობა, რომ დიდი ფეხბურთი ახლოვდება.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲘᲣᲓᲘᲤ ᲡᲐᲚᲐᲧᲐᲘᲐ

გარდაიცვალა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის წამყვანი კონცერტმეისტერი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, პერსონალური პენსიონერი, შრომის ვეტერანი ᲘᲣᲓᲘᲤ ᲡᲐᲚᲐᲧᲐᲘᲐ.

დაიბადა 1918 წელს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1943 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იგი ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. პროფესიული კეთილსინდისიერებითა და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის შემოქმედებით საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით თეატრის წამყვან სოლისტებს შეუქმნიათ არაერთი დასამახსოვრებელი პარტია.

50 წლის განმავლობაში ი. სალაყაია ცოცხლობდა და არსებობდა თეატრისათვის, თეატრი იყო მისი სიყვარული.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, გულისხმიერი, თავმდაბალი, ახალგაზრდა თაობების საუკეთესო აღმზრდელი, პატიოსანი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲔᲡ ᲐᲦᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

ᲒᲐᲖᲔᲗ „აჭარის“ 14 ივლისის ნომერში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, შალვა ვარშანიძე აღნიშნავს, თითქოს მე დამეწეროს: „...სადღაც გულის კუნჭულში კი რაღაც ანგარიშმიუცემელი სირცხვილის გრძნობა გტანჯავს იმ ზოგიერთი ურწმუნო მავანის გამო, თავიანთი ავყია ენაჭარტალობით რომ ევსება და გესლს ანთხევს აჭარისა და აჭარლების მისამართით“. ასეთი რამ მე არსად არ დამიწერია და არც მითქვამს. გაზეთში მითითებულია „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერი (65), სადაც თურმე ზემოაღნიშნული განმიცხადებია. ყოველ შემთხვევაში, მოვძებნე „საქართველოს რესპუბლიკის“ მითითებული ნომერი და აღმოვაჩინე, რომ მსგავსი რამ იქ მართლაც წერია, მაგრამ მისი ავტორი გახლავთ ჟურნალისტი გია ჭელიძე. რაც უნდა იყოს მიზეზი შალვა ვარშანიძის საქციელისა — დაუდევრობა თუ ფაქტის განზრახ დამახინჯება, იგი დიდად აღმაშფოთებელია და ელემენტარული ეთიკა მოითხოვს, ავტორმა და გაზეთმა „აჭარამ“ ბოდიში მოიხადოს აღნიშნულის თაობაზე.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲧᲝᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს პარლამენტის წევრი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ᲜᲐᲒᲐᲕᲘ ᲒᲕᲐᲮᲠᲩᲝᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 2419 ქუჩიდან საყოფაცხოვრებო ნაგავი გააქვთ, მაგრამ არარეგულარულად. თანაც გააქვთ მხოლოდ 1279 ქუჩიდან. ეს ქუჩები უკანასკნელ ხანს ნაგვის საყრელებად გადაიქცა. იშვიათი არ არის, რომ თავად მოქალაქეები ნაგავს ადგილზე წვავენ. ქალაქის უკვე ბევრი ხევი თანდათან ივსება ნაგვით. მაღალსართულიანი სახლების მცხოვრებლებისათვის ნაგავსაგროვებელი შინა კამერები ნამდვილი უბედურება გახდა. მკვეთრად გაიზარდა მღრღნელების (ვირთაგვების) რიცხვი. ყოველივე ეს ქმნის სხვადასხვაგვარ ეპიდემიათა წარმოქმნის საფრთხეს. ამავე დროს რაიონული სპეცავტომეურნეობების მუშაობა, რასაც თავად ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ადასტურებენ, საწვავისა და ავტონაგავსაზიდების სათადარიგო ნაწილების უქმარისობის გამო თითქმის მოშლილია. ესოდენ არასახარბიელო ინფორმაცია საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს მიაწოდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოს უფროსის მოადგილემ მადონა ჯორბენაძემ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 18 აგვისტოს დანიშნულია ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი თბილისის „დინამოს“ და ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონის „ლინფილდის“ გუნდებს შორის.

ორგანიზაციებიდან მიიღება დაკვეთები მატჩზე დასასწრები ბილეთების, აგრეთვე სეზონური აბონემენტების შესაძენად როგორც ნაღდი ანგარიშით ასევე გადარიცხვით (აბონემენტები ძალაშია მხოლოდ ჩემპიონატის მატჩებზე).

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.

ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ!

ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომლებსაც სურთ ივაჭრონ ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე როგორც სასურსათო პროდუქტებით, ასევე სხვადასხვა სუვენირებით 18 აგვისტოს დანიშნულ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩზე, გთხოვთ მოგვმართოთ 10 აგვისტომდე.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.

ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ განლაგდეს სარეკლამო ფარები ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის მთავარ არენაზე, გთხოვთ მოგვმართოთ სტადიონის ადმინისტრაციას ა.წ. 10 აგვისტომდე.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.

საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტი „საქგაზი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დეპარტამენტის საქმეთა მმართველი

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲤᲐᲠᲔᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

1. Ს.Ს.Კ. «ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲘᲨᲜᲚ»-Ი

იწყებს დივიდენდების გაცემას თავისი კლიენტებისათვის, რომლებიც არიან
ნავთობის კონცერნი „ჰერმესი“-ს აქციონერები.
დივიდენდების გაცემა იწარმოებს გამოქვეყნების დღიდან ხელშეკრულების ნომრების რიგის მიხედვით დღეში
120 აქციონერის ოდენობით.
გაცემა იწარმოებს 45 დღის განმავლობაში.
სერტიფიკატი და პასპორტი გთხოვთ თან იქონიოთ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ 60 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲐᲨᲘ!!!

2. ასეთ შესაძლებლობას გაძლევთ მხოლოდ საფინანსო-სატრასტო კომპანია
«ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢ-ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲘᲨᲜᲚ»-Ი.
თქვენს მიერ შეტანილი ნებისმიერი თანხა 10 ამერიკული დოლარი ან 20 გერმანული მარკა და ზევით
ნაღდი ანგარიშით და გადარიცხვით
გაძლევთ წლიურ 60 პროცენტ შემოსავალს ვალუტაში.
მიიღება ამერიკული დოლარები და გერმანული მარკები.

არა გაქვთ ვალუტა?! ნუ ინაღვლებთ!
კომპანია მიიღებს კუპონებსა და მანეთებსაც წლიური შემოსავლით 200-300 პროცენტამდე.
მინიმალური შესატანია 10 000 ნაღდი ანგარიშით.

3. ს.ს.კ. „კონტინენტ ინტერნეიშნლ“-თან ერთად მუშაობს ფირმა „მალკა“-ს მოსკოვის წარმომადგენლობა,
რომელიც თქვენ დაგეხმარებათ ოპერატიულად მოახდინოთ ბინის (სახლის)
გაყიდვა, ყიდვა ან გაცვლა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, საზღვარგარეთ და საქართველოს
რესპუბლიკის ტერიტორიაზე.
თქვენი ინფორმაცია შეტანილი იქნება საკომპიუტერო ქსელში და ოპერატიულად იქნება დამუშავებული ფირმა
„მალკა“-ს საკომპიუტერო-საინფორმაციო-საგამომთვლელო ცენტრში ქ.მოსკოვში.
გაეცანით ტელეგადაცემას **„фирма гарантирует“** ოსტანკინოს I-ლ არხზე – 8 საათზე და 45 წუთზე.

4. ს.ს.კ. „კონტინენტ ინტერნეიშნლ“-ი ჰყიდის ჟენშენის ფესვებს (ჩინეთი), რომელთაც აქვთ
ხარისხის სერტიფიკატი. მიმდინარეობს საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

ჩვენი მისამართია: ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. 24-89, „ᲗᲑᲘᲚᲥᲐᲚᲐᲥᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ“-Ს ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ III, ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ VIII,
ტელეფონი: 96-43-71.

მთავარი რედაქტორი ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ, 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, Მ. ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ Ქ. № 14.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ, ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ 99-92-26; ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ. ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА